# „ალია“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!!!

შემდეგი ნომერი გამოვა 5 იანვარს

N194/3316/ 25 დეკემბერი, 4 იანვარი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE



## რატომ გამოჩნდნენ ღარიბაშვილი და ივანიშვილი ერთად და რას საუბრობენ ხელისუფლების კულუარებში?



3

ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძეს მეწარმეების დაშინებასა და მათთვის კომერციული ფართის გამოძალვის მცდელობაში ადანაშაულებენ



4

შვილისა და შვილიშვილის სიკვდილის რა ვერსია აქვს მაგდა პაპიძის დედამთილს და რა ახალ დეტალებს ამხელენ მეზობლები



6

## პრემიერის გადადგომა ორ „ჩაგდებულ“ კანონს უკავშირდება?





13

## „დღეს საწვავის ყველაზე მაღალი ფასი უნდა იყოს 1.30 ლარი“

„ვიღაც ექსპერტები გამოდიოდნენ და ყვიროდნენ, სააგენტომ დროულად დაამთავროს მოკვლევაო. მაინტერესებს, ახლა სად არიან, რატომ არ ყვირიან, სასამართლომ განხილვა დროულად დაამთავროსო?“



5

## წაქცეულს აღარ ურტყამენო, „რესპუბლიკელებს“ აშკარად არ გაუგიათ...

რატომ გადაეკიდა ლევან ბერძენიშვილი ექსპრემიერს და რა თანამდებობას უმიზნებს?



2

„კახური კლანის“ კრიზისი — შავლიაშვილი, ჯანყარაშვილი, ზედელაშვილი: ვის დაიბარებენ დაკითხვაზე?



2

## ევროპამ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია დაასრულა

რა სარგებელს მიიღებენ ამით ჩვენი მოქალაქეები?



## უკვე დადასტურდა — ახალი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იქნება



– პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად გიორგი კვირიკაშვილი დასახელდება, – ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ მეორე არხზე, გადაცემა „არგუმენტების დროში“ განაცხადა.

მისი თქმით, გიორგი კვირიკაშვილს თავად პრემიერ-მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელი წარადგენს.

– ოთხ კანდიდატურაზე იყო ლაპარაკი და ჩვენ ჩამოვყალიბდით ერთ კანდიდატზე. გიორგი კვირიკაშვილს უმრავლესობაში მოიყვანს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ირაკლი ღარიბაშვილი და წარმოგვიდგენს 25 დეკემბერს, 10 საათზე, პარლამენტში, თბილისში, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ამის შესახებ უმრავლესობა შეთანხმებულია და განწყობა არის პოზიტიური.

– გიორგი კვირიკაშვილი არის იმ პოლიტიკური ოჯახის წარმომადგენელი, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი არის და მემგონი, იქნება აღიარებული ერთ-ერთი ლიდერი, როგორც ბიძინა ივანიშვილი, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ. (ინტერპრესნიუსი)

## „კახური კლანის“ კრიზისი — შავლიაშვილი, ჯანყარაშვილი, ზედელაშვილი: ვის დაიბარებენ დაკითხვაზე?

„პირველი რადიოსთვის“ ცნობილი ხდება, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ შესაძლოა, ხელისუფლების ყოფილი პირებისა და ღარიბაშვილის მეუღლის ნათესავების დაკავებების სერია დაიწყოს.

არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში დაკითხვაზე მთავარ პროკურატურაში ნუნუკა თამაზაშვილის მამიდაშვილი „ქართული ოცნების“ ყოფილი აღმასრულებელი მდივანი და შსს გენინსპექციის ყოფილი უფროსი ზვიად ჯანყარაშვილი დაიბარონ. არც ის არის გამორიცხული, მასთან ერთად დაკითხვაზე მისვლა მოუწიოს გიორგი ზედელაშვილს და ასევე, ე.წ. „კახელების დაჯგუფების“ წევრს, ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრ დავით შავლიაშვილს და წყალმომარაგების ყოფილ უფროსს არჩილ ცაბუტაშვილს.

როგორც ცნობილია, დასახელებული პირები რამდენიმე კორუფციული ტენდერის სკანდალში მონაწილეობენ. ასევე, მათი გვარები ფიგურირებს წყალმომარაგების კომპანიის 3-მილიონიან სკანდალში. როგორც ცნობილია, ინფრასტრუქტურის სამინისტროში შავლიაშვილის შეცვლის შემდეგ ახალმა მინისტრმა ჯავახიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ სამინისტროში ადგილი ჰქონდა „ატკატებს“ და ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც სამინისტროს „კახური კლანი“ – ღარიბაშვილი-თამაზაშვილის დაჯგუფება განაგებდა. (პირველი რადიო)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



# წაქცეულს აღარ ურტყამენო, „რესპუბლიკელებს“ აშკარად არ გაუგიათ...

### რატომ გადაეკიდა ლევან ბერძენიშვილი ექსპრემიერს და რა თანამდებობას უმიზნებს?



ზოგი იტყვის, სანამ წაქცეულია, ბარემ უნდა მიაყოლო გვერდებში, თორემ თუ ადგა, აქეთ ამოგცხებს გემრიელ აპერკოტსო, თუმცა სად აქვს პოლიტიკას წესები, მორალი, სინდისი და ნამუსი?! ჰოდა, გადამდგარ თუ მოხსნილ ირაკლი ღარიბაშვილს კოალიციიდან პირველი ქვა ლევან ბერძენიშვილმა ესროლა.

კერძოდ, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი შესაძლოა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყოს, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ეხმაურება და ამბობს, რომ ის ღარიბაშვილს სიის პირველ ნომრად ვერ ხედავს:

„მე ვერ ვხედავ ირაკლი ღარიბაშვილს საარჩევნო სიის პირველ ნომრად, რადგან ამ შემთხვევაში ვერ ვხედავ მისი გადადგომის მიზეზებსაც. აქ რაღაც ლოგიკა ვერ დავიჭირე. არ ვიცი, ვინ ავრცელებს ამ ინფორმაციას, მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. ბევრი საუბარია, სად წავა ირაკლი ღარიბაშვილი. ღარიბაშვილის საქმე ჩემთვის საინტერესო იყო მანამ, სანამ ის იყო პრემიერ-მინისტრი. დანარჩენი არის მისი პირადი ბედი. ეს ჩემს სურვილებზე ნამდვილად არ არის დამოკიდებული“.

სანამ პრემიერი იყო, ალბათ, მხოლოდ ლევან ბერძენიშვილისთვის არა, ბევრისთვის იქნებოდა ღარიბაშვილი საინტერესო, ახლა კი, როცა კაციშვილმა არ იცის, რა ბედი ეწევა, სად და როგორ იქნება, ფეხებზე არ ჰკიდიათ?!

ისე, ლევან ბერძენიშვილის ასეთი შეფასება სულაც არ არის გასაკვირი იმდენად, რამდენადაც არც გია ვოლსკი ერიდება ღარიბაშვილის მიჭირხვნას.

კერძოდ, გია ვოლსკი აცხადებს, რომ წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებას“ ახალი ენერგია სჭირდებოდა და ღარიბაშვილი ამიტომ გადადგაო.

ვითომ, მხოლოდ ღარიბაშვილის წასვლა და მთავრობის ახალი მეთაურის მოსვლა მოუტანს „ქართულ ოცნებას“ ახალ ენერგიას? რაღაც ეჭვი მეპარება, რადგან საზოგადოების აგრესია კოალიციის აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ ისეა გაზრდილი, ვერანაირი საკადრო ცვლილება მათ ავტორიტეტს განსაკუთრებულს ვერაფერს მოუტანს.

ყველაზე საშინელი იცით, რა არის, ძვირფასო მკითხველო? ღარიბაშვილის მისამართით ხომ ასეთი ხისტია გია ვოლსკი, მაგრამ სააკაშვილზე კი ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში ასეთ რამეს აცხადებს:

– სიამოვნებით მექნებოდა კონსულტაციები თუნდაც ყოფილ პრეზიდენტთან, რომ არ ვიცოდე, რომ მას რევოლუციური და სისხლისმღვრელი გადატრიალება თუ შერყევა ქვეყნის, ამ მთავრობის ჰქონდა აზრად...

მოკლედ, გია ვოლსკი სიამოვნებით მიიღებდა სააკაშვილისგან კონსულტაციებს, მაგრამ ამაზე უარს ამბობს იმის გამო, რომ მას მთავრობის გადატრიალება უნდოდა და არა იმის გამო, რომ წლების მანძილზე ქვეყანას ძარცვავდა, ხალხს ხოცავდა, აუპატიურებდა და ქვეყანას დედა აუფეთქა! აი, ღარიბაშვილი კი იმის გამო უნდა წასულიყო, რომ „ქართულ ოცნებას“ ახალი ენერგია ესაჭიროებოდაო. რა ვიცი, რა ვიცი!..

ჰო, ვოლსკის ხისტი განცხადებები კი გაატარეს, მაგრამ აი, ლევან ბერძენიშვილს შემოუწყრნენ „ქართული ოცნების“ წევრები – მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ოთარ ჩრდილელი:

„ყველას აქვს სუბიექტური აზრის დაფიქსირების საშუალება... თუმცა, პირადად მე, უხერხულად მეჩვენება ჩვენი პარტნიორი პარტიის ლიდერისგან ასეთი განცხადება... მით უმეტეს, რომ საუბარია პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეზე“.

ლევან ბერძენიშვილით, ასევე, უკმაყოფილოა „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე. ლორთქიფანიძის განცხადებით, ღარიბაშვილი დღემდე კოალიციის ლიდერია და მისი მომავალი საინტერესო უნდა იყოს კოალიციაში შემავალი ნებისმიერი სუბიექტისთვის.

„რბილად რომ ვთქვათ, ასეთი მიდგომა არა მგონია, სწორი იყოს. ირაკლი ღარიბაშვილი არის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ის დღემდე არის კოალიციის ლიდერი და ვფიქრობ, მისი ბედი საინტერესო უნდა იყოს კოალიციაში შემავალი თითოეული სუბიექტისთვის“.

კოალიციაში შემავალ სუბიექტებზე რა მოგახსენოთ, საზოგადოების დიდ ნაწილს კი აინტერესებს ღარიბაშვილის სამომავლო ბედი, მაგრამ იღებთ ამ საკითხზე რომელიმე ხმას?! ფეხებზე არ გკიდიათ, რა აინტერესებს ხალხს, რა კითხვები აქვთ „ქართული ოცნების“ ამდენი ინტრიგის, უმოქმედობისა და მამაძაღლობის ფონზე?!

ისე, „რესპუბლიკელების“ ასეთი აქტიურობა, ალბათ, გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან გავრცელებული ინფორმაციით, მათთვის გიორგი კვირიკაშვილი პრემიერის პოსტზე მისაღები ფიგურაა. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, სწორედ „რესპუბლიკელების“ ხმები აღმოჩნდეს გადამწყვეტი ახალი მთავრობის დამტკიცებისას. როგორც საპარლამენტო კულუარებში აცხადებენ, ამ ხმების სანაცვლოდ „რესპუბლიკელებს“ საკუთარი მოთხოვნები აქვთ. კერძოდ, ისინი ახალ მთავრობაში „რესპუბლიკელი“ მინისტრების დატოვებას ითხოვენ.

იმას, რომ გიორგი კვირიკაშვილი პრემიერობის ყველაზე რეალური კანდიდატია, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძეც ადასტურებს. ამდენად, ლევან ბერძენიშვილსაც და „რესპუბლიკელებსაც“, თუ მართლა მათზე იქნება გადამწყვეტი ხმა, სულაც არ აღელვებთ ღარიბაშვილის სამომავლო ბედი და არც იმას მოზომავენ, რას და როგორ იტყვიან ყოფილ პრემიერზე.

ლევან ბერძენიშვილის შეფასებას ეხმაურება არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბერძენიშვილი განათლების მინისტრობისთვის ემზადება:

„მეტისმეტად ბინძური და სახიფათო ხერხით თამაშობენ „რესპუბლიკელები“. ერთი ხელით საპარლამენტოს, ხოლო მეორეთი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველაზე თვალსაჩინო კონკურენტებს ამარცხებენ, თან, ხაზს ვუსვამ, ბინძური მეთოდებით. დააკვირდით ლევან ბერძენიშვილის განცხადებებს, მის კეკლუცობასა და „გამონათებას“. სავარაუდოდ, ჯერი მასზეა – განათლების სამინისტროს ჩააბარებენ. თქვენ ის თუ იცით, რომ იმ ფონზე, როდესაც საქართველოს რეგიონებში „ქართული ოცნების“ ოფისები პრაქტიკულად არ არსებობს, „რესპუბლიკელები“ ოფისს ოფისზე ხსნიან“.

რამდენად რეალურია ეს ამბავი, რთული სათქმელია – ყველაფერს უახლოეს მომავალში გავიგებთ, მათ შორის იმასაც, დატოვებს თუ არა თანამდებობას ირაკლი ღარიბაშვილის შემდეგ დავით ნარმანიაც.

მართალია, თავად დედაქალაქის მერი გავრცელებულ ინფორმაციას ჭორს უწოდებს, მაგრამ „ქართული ოცნების“ წევრებიც კი არაოფიციალურად ადასტურებენ, რომ სულ მალე ნარმანია პოსტს დაემშვიდობება.

# რატომ გამოჩნდნენ ღარიბაშვილი და ივანიშვილი ერთად და რას საუბრობენ ხელისუფლების კულუარებში?



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**რა ხდება მმართველ გუნდში ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობიდან წასვლის შემდეგ? „ალიამ" კულუარებში გაარკვია, რომ დღეს პოლიტსაბჭო გაიმართება და გიორგი კვირიკაშვილს პრემიერობის კანდიდატად დაასახელებენ. ამბობენ, რომ ის მინისტრები, ვინც საზოგადოებას თვალებში ეკალივით ესობა, მათ ხსენებაზე ბურძგლავთ და ყველა საკუთარ უბედურებას ჰკიდებენ, სამუდამო პოლიტიკურ სასუფეველში გადაინაცვლებენ. განსაკუთრებით ეს ეხება ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს, რომლის მიმართაც არის არნახული აგრესია, შერიგების მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს, კულტურის მინისტრს, განათლების მინისტრს და ამ ბადეში შესაძლოა, რამდენიმე მინისტრიც მოხვდეს. სხვათა შორის, ამ თემებზე ნოემბერში „ალიასთან" ინტერვიუში საუბრობდა მამუკა არეშიძე, უფრო ადრე კი, დაახლოებით სექტემბერში, მთავრობის გადადგომაზე დაბეჯითებით საუბრობდა ყოფილი პარლამენტარი ვალერი გელბახიანი. მართალია, მაშინ გელბახიანის ეს სცენარი უმრავლესობის ლიდერებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, მაგრამ მოვლენების ლოგიკა ყველა მოაზროვნე ადამიანს იმას კარნახობდა, რომ არჩევნებამდე მსხვერპლშეწირვა გარდაუვალი იყო.**

**ექსპერტი მამუკა არეშიძე „ალიას" კითხვებს პასუხობს და იმ მიზეზებს საუბრობს, რასაც ღარიბაშვილის გადადგომაზე სახელისუფლებო კულუარებში საუბრობენ.**

– სხვათა შორის, თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ საახალწლოდ მოხდებოდა მინისტრთა კაბინეტის ცვლილება. მოდის საარჩევნო წელი და ეს არის ელემენტარული პიარსვლა, როდესაც იცვლება მთავრობის გუნდი იმისთვის, რომ საზოგადოების აგრესიული განწყობა მოხსნან, ძველი მთავრობის შემადგენლობის მიმართ და ახალი მოვიდეს.

**— რატომ მოხდა ღარიბაშვილის გადადგომა იდუმალების საფარქვეშ?**

– იმიტომ, რომ არსებობს კონკრეტული მიზეზი, რომლის თქმაც გამიჭირდება. მაგალითად, ყრუდ მესმის ხმები იმის შესახებ, რომ ასეთი მოულოდნელი გადადგომა უკავშირდება მურუსიძის თემას, ასევე პატრიარქის მიერ შეწყალების საკითხსაც. რასაკვირველია, ცუდია, როცა ასეთი მოულოდნელი ფორმით ხდება გადადგომა პრემიერ-მინისტრის, თუმცა მოულოდნელი აქ არაფერი მომხდარა.

**— სხვა გვარებთან ერთად, გაიჟღერა, რომ თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრობას ჩამოაცილებენ. როგორ ფიქრობთ, იგი შეინარჩუნებს მინისტრობას?**

– ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა არ მგონია, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, მაგრამ მისი საგარეო საქმეთა მინისტრობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. იყო საუბარი იმაზეც, რომ კვირიკაშვილს თინა ხიდაშელი შეცვლიდა, მაგრამ ეს არ მოხდება. აქვე გეტყვით, რომ წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შეიძლება იყვნენ იმ მინისტრების შემცვლელები, ჯერჯერობით ნაადრევია კონკრეტული გვარების დასახელება, ვინ შეცვლის განათლების, კულტურის, ფინანსთა და შერიგების მინისტრებს. ნოდარ ხადური ის ფიგურაა, რომლის შეწირვა მოხდება კლასიკურად, ბევრი მიზეზების გამო, ერთ-ერთი მიზეზი ლარის დევალვაციაა. ის საზოგადოებაში დიდ აგრესიას იწვევს, სწორედ ამ ტიპის მინისტრებმა წარმოშვეს დიდი აგრესია საზოგადოებაში, ამიტომაც გახდა საჭირო მათი მოცილება. შესაძლოა, კიდევ რამდენიმე მინისტრი აღმოჩნდეს ამ ბადეში. გასაგები მიზეზების გამო მათ ვერ დავასახელებ, მაგრამ ახლა გეტყვით, ვინ იქნება ხელშეუხებელი მინისტრი. ეს გახლავთ – კახი კალაძე, ნოდარ ჯავახიშვილი, დავით სერგეენკო, კახი კახიშვილი.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნარმანიას გადადგომა შეთანხმებულია და ის პოსტიდან ახალ წლამდე წავა, თუმცა, თავად უარყო, ჭორიაო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– დავით ნარმანიას გადადგომა გარდაუვალია, ეს პროცესი გავრცელდება დედაქალაქის ხელმძღვანელობაშიც. „ქართული ოცნების" ლიდერები უკმაყოფილო არიან ნარმანიას მუშაობით, ყველას გვახსოვს ირაკლი ღარიბაშვილის აგრესია, აღარაფერს ვამბობ ბიძინა ივანიშვილზე, რომელსაც დავით ნარმანიას ხსენება აღარ უნდა, ისეა გაღიზიანებული. ასე რომ, მერის შეცვლა გარდაუვალია, რადგან ეს საზოგადოების მოთხოვნაა და ჩვენ ვიხილავთ გადადგომების მორიგ სერიას, ოღონდ, ახალი წლის შემდეგ.

**— და მაინც, ძალიან მოულოდნელი იყო ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა, ხომ შეიძლებოდა ეს ახალი წლის შემდეგ გაეკეთებინა? რა მოხდა ამ რამდენიმე დღეში? თუკი კვირიკაშვილზეა საუბარი, იმ ადამიანის დედა გარდაცვლილი იყო და 24 დეკემბერს დაკრძალეს. ორი დღე რას წყვეტდა?**

– საქმე ის გახლავთ, რომ ეს დაკავშირებული იყო ტექნიკურ საკითხებთან, პროცედურულად ასე ხდება 7 დღეში პრეზიდენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტი სესიებს ხურავს, რამდენიმე დღის დაგვიანება ართულებდა პროცედურულად ამ საკითხს, არადა, 3 იანვარს პარტია „ქართული ოცნება" უკვე იწყებს საარჩევნო რეჟიმში მუშაობას. ამიტომ აუცილებელი იყო ახალ წლამდე ამ საკითხის გადაწყვეტა. თუმცა, საზოგადოება გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ეს მოხდა ძალიან შეუმზადებლად, ნაუცბადევად და ამას ჰქონდა შოკის ეფექტი.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებამ პატიმრების შეწყალების სკანდალი გადაფარა მთავრობის გადადგომით?**

– მთავრობის გადადგომით ეს სკანდალი არ გადაიფარება, ძალიან ცუდი ამბავი მოხდა, მარტო კობახიძისა და ბესელიასთვის კი არა, საერთოდ, ხელისუფლებისთვის. ცუდი ამბავი მოხდა პროკურატურისთვის, თავად, ალეკო ელისაშვილისთვისაც კი, რადგან ყველა გაისვარა და დღეს უკვე ამ ამბავში სიმართლის გარკვევა გაძნელდა, სკანდალი სკანდალად დარჩება... რეალურად იყო თუ არა ფულზე საუბარი, ვინმემ აიღო თუ არა დასახელებული ქრთამი, ეს ამბავი ჰაერშია გამოკიდებული და ამის დამტკიცება ურთულესია.

**— ღარიბაშვილის გადადგომის დღეს, იყო მოლოდინი, რომ ბიძინა ივანიშვილი მცირე კომენტარს მაინც გააკეთებდა, მაგრამ არ გამოჩენილა. ჩაითვალა, რომ მან პრემიერი საბოლოოდ გაწირა, მაგრამ 24 დეკემბერს გიორგი კვირიკაშვილის დედის დაკრძალვაზე ერთად ვიხილეთ ივანიშვილი და ღარიბაშვილი. მათი ერთად გამოჩენა რას უნდა ნიშნავდეს?**

– ეს ბიძინა ივანიშვილის თვისებაა, სანამ საკითხი არ მომწიფდება, ივანიშვილი მანამდე შეფასებას არ აკეთებს. დარწმუნებული იყავით, თუ შაბათს არა, მომავალი კვირის დასაწყისში ის აუცილებლად გააკეთებს განცხადებას, მაგრამ ნუ ელოდებით, რომ ივანიშვილი ღარიბაშვილს გააკრიტიკებს და იტყვის, რომ ღარიბაშვილის მთავრობა მისი ხელმძღვანელობით იყო წარუმატებელი, როგორც ეს ოპოზიციას უნდა რომ დახატოს, მეორეც, ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ მისი პირადი კადრი.

**— ამბობენ, რომ არჩევნებამდე ეს მთავრობა შეასრულებს ტექნიკური მთავრობის ფუნქციას...**

– ეს არ იქნება ტექნიკური მთავრობა, ახალ მთავრობას მიეცემა სერიოზული კარტბლანში, დარწმუნებული იყავით, პასუხი ძალიან სერიოზულად მოეთხოვებათ. აქედან გამომდინარე, რადგან ტექნიკური ამოცანით იქნება დატვირთული, ის ვერ იქნება მხოლოდ ტექნიკური მთავრობა. არჩევნების შემდეგ შეიძლება კორექტირება მოხდეს, შეიძლება პრემიერ-მინისტრიც შეიცვალოს, მაგრამ ამ მთავრობას უზარმაზარი პასუხისმგებლობა დაეკისრება. კვირიკაშვილზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებს გაუძლვეს მთავრობას. თუ იქნება კარგი პრემიერი, ის შეინარჩუნებს ამ პოსტს არჩევნების შემდეგ. სხვათა შორის საგარეო საქმეთა მინისტრად რომ გადაიყვანეს მაშინვე თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ მას ამზადებდნენ პრემიერ-მინისტრად. მას აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება პოლიტიკაში, ვერ გეტყვით, რომ განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი ეკონომიკის მინისტრის პოსტზე, მაგრამ მას აქვს ლიდერისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისება, როგორიც არის გაწონასწორებულობა, მისი განცხადებებიც ამას მოწმობს. ის სიხისტე, რაც დამახასიათებელი იყო ღარიბაშვილისთვის, კვირიკაშვილისთვის უცხოა. უფრო მოქნილია და არ გამოვრიცხავ, დაბალანსდეს პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობები.



## რომის პაპი — ეს შობა ბევრი ჩვენგანისთვის უკანასკნელი იქნება



რომის პაპმა ფრანცისკემ წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ მოსახლეობას განუცხადა, რომ წლევანდელი შობა მრავალი ადამიანისთვის შეიძლება უკანასკნელი იყოს.

მისი თქმით, მსოფლიოს ქაოსური მდგომარეობა „სამყაროს დასასრულის" დასაწყისია და მომავალ წელს, ამავე დროს, მსოფლიო უკვე სრულიად სხვანაირი იქნება.

– მაშინ, როდესაც მსოფლიოში მრავალი ადამიანი შიმშილობს, ქვეყნები ცეცხლშია გახვეული, მსოფლიო ქაოსში იძირება, ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ მრავალი ადამიანისთვის, რომელიც წელს შობა-ახალ წელს აღნიშნავს, ის შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს, – განაცხადა კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა.

შეგახსენებთ, რომ პარიზში 13 ნოემბრის ტერორისტულ აქტებს რომის პაპმა „მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი" უწოდა. (kvira.ge)

## გადააყენებენ თუ არა გუბერნატორებს — გურიის გუბერნატორი ცვლილებას არ გამორიცხავს



მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა, უკვე საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, ცვლილებები გუბერნიებშიც განხორციელდეს. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობის დატოვება შესაძლოა, გურიის გუბერნატორს გია სალუქვაძესაც მოუწიოს.

თავად გუბერნატორი გავრცელებულ ინფორმაციას არ გამორიცხავს, თუმცა ამბობს, რომ ყველაფერი ახალ პრემიერზეა დამოკიდებული.

– მოგეხსენებათ, პრემიერ-მინისტრი გადადგა, მოვა ახალი. მთავრობაც გადაყენებულია და ასრულებს მოვალეობას, პრეზიდენტის განკარგულებიდან გამომდინარე. გუბერნატორი რეგიონში წარმოადგენს მთავრობას. ჩვენ ავტომატურ რეჟიმში გადადგომა კონსტიტუციიდან გამომდინარე არ გვეხება, თუმცა ახალი პრემიერ-მინისტრის მოსვლის შემდეგ გადაწყდება, დარჩებიან თუ შეიცვლებიან სხვადასხვა რეგიონებში გუბერნატორები. ალბათ, ამ თემაზე იქნება მსჯელობა და დაგვიძახებენ. ჯერჯერობით ჩვეულ რიტმში ვაგრძელებთ მუშაობას. აქედან გამომდინარე, პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ცვლილებები გუბერნატორებსაც შეეხოთ, გეტყვით, რომ შესაძლოა, შეეხოთ, შესაძლოა – არა. რაიმე სახის კომუნიკაცია ჯერ ჩემთან არ ყოფილა, – განაცხადა სალუქვაძემ. (ნიუპოსტი)

## ლევან მამალაძე დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელს ტელედებატებში იწვევს



„უსუფა-ხიდაშელმა პასუხი უნდა აგონ ჩადენილ დანაშაულზე!“, – ამ კომენტარს აკეთებს ქვემო ქართლის ყოფილი რწმუნებული ლევან მამალაძე სოციალურ ქსელში. მამალაძე პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მიერ, „მაესტროს“ ეთერში გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება:

– უსუფაშვილმა „მაესტროს“ ეთერში საუბრისას დაადასტურა, რომ თინასთან ერთად პოლიტიკური მოტივაციის გამო ამომიღეს პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საპარლამენტო სიიდან.

ამ წყვილს მოსვენებას არ აძლევს ჩემი გვარი, ისინი კანონზე მაღლა აყენებენ თავს და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სამშობლოში არ დავბრუნდე. უსუფა-ხიდაშელმა კარგად იციან, რომ პოლიტიკურ მხილებას ვერ გაექცევიან.

მათ პასუხი უნდა აგონ: 2003 წელს ხელისუფლების ხელში ჩაგდებისას ჩადენილ დანაშაულზე, სააკაშვილისეული სისხლიანი რეპრესიების იურიდიულ გაფორმებაზე და საქართველოს საზიანოდ სხვა სახელმწიფოთა ინტერესებში საქმიანობისთვის...

თინა და დათო! ცალ-ცალკე რომ არ იწონოთ თავი მედიის წინაშე და ატყუოთ ქართველი საზოგადოება, გთავაზობთ ღია ტელედებატებს თქვენთვის სასურველ ტელევიზიაში. პარლამენტის სპიკერისა და სარდლის რეგალიებს ნუ მოიმიზეზებთ, ჩვენი საპირწონე პოლიტდევნილი მამალაძე ვერ იქნებაო, ხომ ხედავთ, წამიერად შეიძლება ჩამოგეჭრათ ფრთები! – აცხადებს მამალაძე. (რეპორტიორი)

## ნიკა რურუა: ვინ გადააყენა ირაკლი ღარიბაშვილი? და რომელი კონსტიტუციური ან სამართლებრივი ბერკეტით?



საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიას“ წარმომადგენელი ნიკა რურუა „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს.

– ახლა ერთი მთავარი კითხვაა პასუხგასაცემი: ვინ გადააყენა ირაკლი ღარიბაშვილი? და რომელი კონსტიტუციური ან სამართლებრივი ბერკეტით?

რატომ და ვისი ნების მიხედვით გადადგა ის, როდესაც სულ 2 დღის წინ ის საკუთარ საჯარო ანგარიშში ამბობდა, რომ მისი ხელმძღვანელობით სამთავრობო გუნდი ყველაზე წარმატებულია?!

ამ კითხვაზე პასუხი დაადგენს იმას, როგორ პოლიტიკურ სისტემაში ვცხოვრობთ დღევანდელ საქართველოში, – წერს ნიკა რურუა. (news.ge)

## ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძეს მეწარმეების დაშინებასა და მათთვის კომერციული ფართის გამოძალვის მცდელობაში ადანაშაულებენ



ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძეს მეწარმეების დაშინებასა და მათთვის კომერციული ფართის გამოძალვის მცდელობაში ადანაშაულებენ. ადვოკატ ლედი ტუკვაძის განცხადებით, ქუთაისის მაჟორიტარის წარმომადგენელმა მეწარმეები დაიბარა და მათ დიდი ღირებულების კომერციული ფართი მოსთხოვა, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში პრობლემების შექმნით დაემუქრა.

– ეს ხდება იმ დაპირებების ფონზე, რომელიც გუბაზ სანიკიძემ ქუთაისელებს მისცა, მაგრამ დღემდე არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია და საკუთარი ამომრჩევლები ამ ადამიანს ეძებენ. ყველას გვახსოვს მისი ცნობილი ფარული ჩანაწერები, სადაც ის მილიონერობაზე ოცნებობდა. ეს ოცნება ვერ აიხდინა, მაგრამ გამდიდრების სურვილი მაინც კლავდა. იმის მაგივრად, რომ ხელი შეეწყო ბიზნესისთვის, რასაც ჩვენი მამა-მარჩენალი ბატონი ბიძინა ქადაგებს, მაქსიმალური ხელშეწყობა ბიზნესსო, გუბაზ სანიკიძემ სამიზნეები შეერჩია და ერთ-ერთი სამიზნე შემთხვევით ჩემი ოჯახის წევრი აღმოჩნდა. მისმა წარმომადგენელმა მეწარმეები კომერციული ფართის გადაცემაზე რომ ვერ დაითანხმა, მართლაც ყველანაირი ბერკეტი გამოიყენა მათ წინააღმდეგ და დღეს ამ ადამიანების წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სასამართლოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავა, – აცხადებს ადვოკატი.

ლედი ტუკვაძის თქმით, მოცემულ თემაზე ის გუბაზ სანიკიძეს პირადად შეხვდა. როგორც ადვოკატი ამბობს, ის მაჟორიტარს კონკრეტული მტკიცებულებებით ამხელს, ხოლო პროკურატურას მეწარმეების დაშანტაჟების ფაქტის გამოძიებისკენ მოუწოდებს.

– როდესაც მე მას ვუთხარი, რომ არსებობს უამრავი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საქმეში მის მონაწილეობას ამტკიცებს, მან მითხრა, რომ შეუძლებელია, მასეთი საბუთი ბუნებაში არსებობდესო. მე აღნიშნული დოკუმენტების ნაწილი მოვიპოვე. გავიგე ისიც, რომ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო ჩემი ოჯახის წევრის მიმართ უკანონო აუდიო და ვიდეომოსმენებს ახორციელებდა. მე მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს, დაინტერესდნენ აღნიშნულით და გაარკვიონ, რა აუდიო-ვიდეომასალები აქვს სანიკიძის ბიუროს ჩემი ოჯახის წევრების მიმართ. მე ვთხოვ პროკურატურას, შეისწავლოს ეს საქმე და გაარკვიოს სანიკიძის დაინტერესება, – ამბობს ლედი ტუკვაძე.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელშიც მაჟორიტარი კომერციულ ფართს ითხოვდა, ქუთაისში, შმიდტის ქუჩაზე შენდება. კორპუსს 7 კაცისგან შემდგარი ამხანაგობა აშენებს. ლედი ტუკვაძე, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ კორპუსის მშენებლობა წნეხის ქვეშ ხორციელდება.

– ქუთაისის მაჟორიტარი ამ ყველაფრისთვის საკუთარ ტრიბუნას იყენებს. მისი ბიუროს სახელით რეკავდნენ პროკურატურაში და იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩვენ მასალებს გვაწვდიან. უფრო მეტიც, „ენერგო პრო ჯორჯიამ“ ჩვენი ხარჯით გადაგვატანინა მაღალი ძაბვის კაბელი, რადგან გუბაზ სანიკიძის სახელით დარეკეს ენერგოკომპანიაში. პროკურატურაში მშენებლობის დაწყების დღიდან აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მე ხელთ მიჭირავს განცხადებები, რომელიც ქალაქის მერიაში სანიკიძის ბიუროს სახელით იგზავნებოდა. მერიაში ხშირი იყო გუბაზ სანიკიძის ზარები. სანიკიძე ნამდვილად აიძულებდა ქუთაისის მერს და მისი სამსახურის უფროსს რომ ჩემს წინააღმდეგ ემოქმედათ. მოდიოდნენ და მამოწმებდნენ, მაგრამ კანონსაწინააღმდეგოს ვერაფერს ნახულობდნენ. თუ გუბაზი არ არის ამ ყველაფერის უკან, გამოვიდეს და თქვას და თუ არის, ისიც კაცურად აღიაროს, – ამბობს ლედი ტუკვაძე.

გუბაზ სანიკიძის ბიუროს უფროსი ამირან ვაშაკიძე აცხადებს, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მხრიდან რაიმე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ვაშაკიძე იმასაც აცხადებს, რომ მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა მისი სახლის მეზობლად ხორციელდება და ის ამ მშენებლობის წინააღმდეგია.

– მე ამ მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობას ვითხოვ. ჩემი უსაფრთხოება ირღვევა და ამიტომ ვითხოვ მშენებლობის შეჩერებას. კერძო და პირად ინტერესებზე აქ არ არის საუბარი. ეგეთი რაიმე არც ყოფილა, – აცხადებს ვაშაკიძე. (topnews.ge)

## „დაბადების დღე აქვს ჩემს შვილიშვილს და ზუსტად 3,15 ლარი მაქვს, რომ რამე ვუყიდო“



სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მომხმარებელი „მაკდონალდსში“ მომხდარ სევდიან ისტორიას ყვება:

„გუშინ „მაკდონალდსში“ ძალიან დიდ რიგში ვიდექი. უკან მამაკაცი იდგა მეუღლესთან ერთად და გადაულაპარაკა:

– რა მაგრად მუშაობენ, ამდენ საქმეს როგორ ართმევენ თავს და კიდევ ღიმილით ემსახურებიან ხალხს. მაგრამ 5000 ლარიც რომ მოგცენ ხელფასი, აქ რატომ უნდა იმუშაო?

ყველამ ამ კაცს გახედა, ძაან ხმამაღლა საუბრობდა. ცოლი შეეწინააღმდეგა.

– შენ რა, ნაკლები დატვირთვით მუშაობ?

– უარესი...

გვერდიდან ქალი გამოელაპარაკა

– უკაცრავად, გენაცვალე, სად მუშაობთ?

– მერიაში...

– რა დატვირთვით მუშაობთ ამისთანა, რომ აქ მომუშავე პერსონალს აბუჩად იგდებთ. რას აკეთებთ ქალაქში, აბა, დამანახეთ. ან შექმენით სამუშაო ადგილები თქვენი პრემიების სანაცვლოდ. 1 შვილი მყავდა დაქორწინებული და ავარიაში გარდამეცვალა, 3 წლის შვილიშვილი დამრჩა. რძალი გამითხოვდა და ბავშვი დამიტოვა. დღეს დაბადების დღე აქვს ჩემს შვილიშვილს და ზუსტად 3,15 ლარი მაქვს, რომ რამე ვუყიდოო.

დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ ჩემი ასაკის აქ არ უნდათო. ეცით პატივი სხვებსო. 5000 ლარიც კი დაიწუნეთო?

ამ დროს მოვიდა ამ ქალის დრო, რომ უნდა შეეძინა და ძალიან მაგარმა მოლარემ 1 „ჰეფი მილი“ და 20 ლარამდე ჰამბურგერი, ფრი, კოკა-კოლა და ნაყინი თავისი თანხით უყიდა. ძალიან დიდი ამბავი ატყდა არგამორთმევაზე...

წარმოიდგინეთ, კაპიკებზე მომუშავე მოლარემ საჩუქრად გაიმეტა და 5000 ლარზე უარის მთქმელმა კაცმა კი, უბრალოდ, ცინიკურად დასცინა“, – წერს „ფეისბუკ“ მომხმარებელი. (etanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრეზიდენტმა მარო მაყაშვილს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა



საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის ყველაზე მაღალი ჯილდო – ეროვნული გმირის წოდება მარიამ (მარო) მაყაშვილს მიანიჭა. მარო მაყაშვილის შთამომავალს – ელიზბარ ერისთავს გადაეცა ეროვნული გმირის ორდენი. განცხადება პრეზიდენტმა ოქროყანაში, რამდენიმე წუთის წინ გააკეთა.

– მარო მაყაშვილი იყო პატარა გოგო, რომელიც წინა საუკუნის 20-იან წლებში დაიღუპა. გოგო, რომელსაც ჰქონდა ძალიან ნათელი იმედები, ფიქრობდა ოჯახზე, ფიქრობდა, როგორ წავიდოდა ევროპაში, ფიქრობდა საზოგადოებაში თავის როლზე. მაგრამ აღმოჩნდა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება – საქართველოს, მისი ქვეყნის თავისუფლება. მარო მაყაშვილი, რომელიც დაიღუპა 19 წლის, იმ ახალგაზრდა იუნკერებთან ერთად, რომლებიც იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, რომლებიც იბრძოდნენ იმისთვის, რომ საქართველო ყოფილიყო თავისუფალი, გახდება პირველი ქალბატონი, რომელსაც მიენიჭება ეროვნული გმირის წოდება. მინდა, მადლობა გითხრათ ყველას, ვინც აქ ბრძანდებით და იზიარებთ ამ ემოციას. მთავარი ღირებულებები არის უზენაესი და შესაძლოა, შევწიროთ ჩვენი სიცოცხლე. მინდა, მადლობა ვუთხრა მარო მაყაშვილის შთამომავლებს. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და აღმატებული ღვაწლისთვის, წითელი ჯვრის მოწყალების დას მარიამ მაყაშვილს მიენიჭოს ეროვნული გმირის წოდება და გადაეცეს ეროვნული გმირის ორდენი, გარდაცვალების შემდეგ! – განაცხადა პრეზიდენტმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი აბესაძის შეფასებით, „ქართულმა ოცნებამ“ არასწორად დაგეგმა და ხარჯა მთელი წლის განმავლობაში თანხები



თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილება კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არასწორად დაგეგმა და არასწორად ხარჯა მთელი წლის განმავლობაში თანხები, – ამის შესახებ თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარე ირაკლი აბესაძემ განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულის მტკიცებულებაა ასევე ის ათეულობით მილიონი ლარი, რომლის დახარჯვას წლის ბოლომდე თბილისის მერია საერთოდ ვერ მოახერხებს და ის პრობლემები, რომელიც დედაქალაქის ხელისუფლებამ 2015 წელს ვერ მოაგვარა.

– რაც შეეხება იმას, რომ ისინი თითქოს კიდევ უფრო ზრდიან სოციალურ დაფინანსებას, ამით კიდევ უფრო გაუგებარი ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით რატომ ამცირებენ სოციალური დაფინანსების მოცულობას. პასუხისმგებლობას არ იღებენ ადამიანების ძალიან მძიმე ცხოვრებაზე, რომელიც სწორედ „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ. საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა განმარტება გააკეთა 2016 წლის ბიუჯეტში სოციალური ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, 2015 წლის განმავლობაში ქალაქის ხელისუფლებას მუდმივად უწევდა სოციალური ხარჯებისთვის თანხების გაზრდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლება ადამიანების მძიმე გაჭირვებას ვერ ხედავს. (ინტერპრესნიუსი)

## „რუსეთი მზად არის, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ რუსეთი მზად არის, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს, თუმცა საქართველო გარკვეულ პირობებს აყენებს.

კარასინი აღნიშნავს, რომ ურთიერთობების აღდგენისთვის საქართველო რუსეთისგან ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარების გაუქმებას ითხოვს.

– დიპლომატიური ურთიერთობები საქართველომ 2008 წელს გაწყვიტა, მას შემდეგ, რაც სამხედრო აგრესია განახორციელა სამხრეთ ოსეთში. რუსეთის ფედერაციამ აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის გადაწყვეტილება. ჩვენ ამ რეჟიმში ვცხოვრობთ. ინიციატივა საქართველოს წინა ხელისუფლებას ეკუთვნის. რაც შეგვეხება ჩვენ, მზად ვართ ურთიერთობების აღდგენისთვის, მაგრამ საქართველო პირობას აყენებს, რომ რუსეთმა დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება გააუქმოს, – განაცხადა რუსმა დიპლომატმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში სავიზო პროცედურები 23 დეკემბრიდან გამარტივდა. (pia.ge)

## „თიკას რა კაბა აუგდია“ — თინა ხიდაშელის ჩაცმის სტილს საზოგადოების ნაწილი აკრიტიკებს



საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს უმასპინძლა.

10 სტუდენტი სამინისტროს საქმიანობას გაეცნო და თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, თინათინ ხიდაშელს პირადად შეხვდა.

შეხვედრის ამსახველი ფოტოები თავდაცვის სამინისტროს „ფეისბუკის“ ოფიციალურ გვერდზე განათავსეს.

საზოგადოების ყურადღება თინა ხიდაშელის კაბამ მიიპყრო.

„ვაჰა, თიკას რა კაბა აუგდია“;

„ეს ხალათი სად ნახა?“ – წერენ ფოტოების კომენტარებში. (etanews.ge)

# „დღეს საწვავის ყველაზე მაღალი ფასი უნდა იყოს 1.30 ლარი“

**„ვიღაც ექსპერტები გამოდიოდნენ და ყვიროდნენ, სააგენტომ დროულად დაამთავროს მოკვლევაო. მაინტერესებს, ახლა სად არიან, რატომ არ ყვირიან, სასამართლომ განხილვა დროულად დაამთავროსო?“**



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61





*2016 წლის დასაწყისში ნავთობის ფასმა ბარელზე შესაძლოა, 16 დოლარი შეადგინოს. ასეთია „Royal Bank of Scotland“-ის წინასწარი პროგნოზი. როგორც ბანკის მთავარი ეკონომისტი ენდრიუ რობერტსი აცხადებს, 2015 წელს მსოფლიო პოლიტიკა ისეთ ფაქტორებს შეეჯახა, რაც ეკონომიკაზე დიდ გავლენას მოახდენს და 2016 წელი უარესი იქნება. ეს ყველაფერი კი ნავთობის ფასზე აისახება. რობერტსის თქმით, ნავთობის ფასი უკვე მიექანება მოკლევადიანი მაჩვენებლისკენ — ბარელი 26 დოლარი, შემდეგ კი დადგება მომენტი, როდესაც 16 დოლარი იქნება. მართალია, ამჟამად ბარელი ნავთობის ფასი 37 დოლარამდეა დაცემული, მაგრამ, თუ რობერტსის პროგნოზი გამართლდა, ეს უკვე იქნება ისეთი გლობალური კრიზისი, როგორიც იყო 2008-2009 წლებში. „Bloomberg“-ის მონაცემებით, ნავთობის ყველაზე იაფფასიანი ხარისხის ღირებულება თითქმის 20 დოლარამდე დაეცა. მაგალითად, მექსიკური ნავთობის ფასი თითქმის 28-დოლარზე ნაკლებია. ერაყული ნავთობის ღირებულება აზიაში 25 დოლარია, ხოლო კანადის დასავლეთით ზოგიერთი მწარმოებელი ბარელ ნავთობს 22 დოლარად ყიდის. მიმდინარე წლის 4 დეკემბერს ვენაში ჩატარდა „ოპეკ“-ში შემავალი ქვეყნების სხდომა, სადაც ვერ მოხერხდა შეთანხმება ნავთობის მოპოვების შემცირებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფდა ნავთობზე ფასების სტაბილიზაციას. იგივე „ოპეკ“-ი თავს ინუგეშებს, რომ ნავთობზე ფასები 2020 წლიდან მოიმატებს და ერთი ბარელი 70 დოლარი გახდება.*

**2020 წლამდე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი, მაგრამ მაშინ, როცა მთელი მსოფლიო გლობალური კრიზისის მოლოდინშია, ჩვენთან ნავთობიმპორტიორებისთვის სრული ოაზისია, ანუ თითქმის უცვლელი ფასები. დღეს ბენზინგასამართ სადგურებზე საშუალოდ ასეთი მდგომარეობაა: „სუპერი“ — 1,85 ლარი, „პრემიუმი“ — 1,80 ლარი, „რეგულარი“ — 1,65 ლარი. როგორც ხედავთ, ფასები შედარებით შემცირებულია, სადღაც 7-9 თეთრით, მაგრამ, როგორც მომხმარებელთა უფლებების დამცველი, ბექა კემულარია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს მაინც არ ასახავს რეალობას:**

**— ბექა, დავიწყოთ რობერტსის პროგნოზით, რამდენად სანდოა და რამდენად შეიძლება, რომ ნავთობის ფასი თუნდაც 26 დოლარამდე დაეცეს?**

– როგორ გითხრა, ხშირად ასეთი ვარაუდები არ მართლდება ხოლმე, მაგრამ დღეს საფუძველი ნამდვილად არსებობს. კი, ფასების დაცემის ტენდენცია კი მიდის, მაგრამ უცებ იანვარში რომ შეთანხმდნენ, ხომ ისევ მოიმატებს? ფასების ცვალებადობა მოთხოვნა-მიწოდებაზე არ არის დამოკიდებულება, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ოპეკი და სხვა ქვეყნებში რა მოვლენები განვითარდება, ამის მიხედვით ლაგდება სიტუაცია. კი, ბატონო, მსოფლიოში რომ მცირდება, ეს ძალიან სასიხარულოა, მაგრამ ჩვენთან? ჩვენთან არანაირ ლოგიკაში არ ჯდება კარტელის 5 მონაწილე იმპორტიორის საქმიანობა, ესენი მსოფლიოსთან საერთოდ არ არიან მიბმულები კი არა, კავშირშიც კი.

**— ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით, მანამდე მაინტერესებს, ეს დაბალი ხარისხის ნავთობის გაიაფება 28 დოლარამდე რამდენად მოქმედებს საერთო ფასებზე?**

– რა თქმა უნდა, მოთხოვნაზე მოქმედებს, საერთო ფონს ნამდვილად ცვლის. მაგალითად, ჩვენი კონკურენციის სააგენტოს კანონმდებლობაში ასეა გაწერილი: სანამ არ გამოცხადდება სასამართლო გადაწყვეტილება, მანამდე ვერ მოხდება სააგენტოს გადაწყვეტილების აღსრულება. როგორც ვხედავთ, დაჯარიმებული კომპანიები – „ლუკოილი“, „სოკარი“, „რომპეტროლი“, „ვისოლი“ და „გალფი“ ისევ აგრძელებენ კარტელური შეთანხმებით ვაჭრობას. კი, თითქოს რაღაც 9-თეთრიანი სხვაობაა, მაგრამ ეს არ ასახავს რეალობას. მაგალითად, თუ „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურზე მიხვალ და ტალონს იყიდი, 10-თეთრიან სხვაობას გიკეთებენ, ანუ გიკლებენ, მაგრამ ტაბლოზე უწერიათ მაღალი ფასი. თუ ადრე ერთნაირი ფასები ჰქონდათ და ცვლილებებს წუთებშიც კი ამთხვევდნენ, მერე ეს მეთოდი შეცვალეს და რამდენიმეთეთრიანი სხვაობები დააწესეს. ახლა სასამართლო პროცესი მიდის და ცდილობენ, შექმნან ილუზია, თითქოს მათ შორის კონკურენციაა, სინამდვილეში ხალხს ატყუებენ.

**— სასამართლო პროცესი უკვე დაიწყო?**

– კი, პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი სხდომებია. თუ გახსოვს, როცა კონკურენციის სააგენტო მოკვლევას აწარმოებდა, მაშინ ვიღაც ექსპერტები გამოდიოდნენ და ყვიროდნენ, სააგენტომ დროულად დაამთავროს მოკვლევაო. მაინტერესებს, ახლა სად არიან, რატომ არ ყვირიან, სასამართლომ განხილვა დროულად დაამთავროსო? სასამართლო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში, ესენი არიან ჩუმად და ძარცვავენ მოსახლეობას. სამწუხაროდ, სასამართლოს ვადა არ აქვს დაწესებული, შეიძლება ასე გაგრძელდეს დაუსრულებლად.

**— ამჟამად რა მარჟაზე მუშაობენ ნავთობიმპორტიორები, რა მოგება აქვთ?**

– ყველა კომპანიას აქვს სხვადასხვა მარჟა, საშუალოდ, ეს არის 60-70 თეთრი. მე ახლა გეტყვი, დღევანდელი ლარის კურსის მიხედვით, რამდენი უნდა ღირდეს 1 ლიტრი ბენზინი: ჩვენ ვთანხმდებით ერთ რამეზე, ხუთი კომპანია მუშაობს კარტელური შეთანხმებით, ხომ? 2012 წლის შემდეგ ნავთობის ბაზარზე გამოჩნდნენ ძველი კომპანიები, რომლებიც საწვავს ყიდიან 20-30 თეთრით ნაკლებად. არადა, მსხვილ, ანუ ბრენდირებულ კომპანიებს დანახარჯები უფრო ნაკლები აქვთ, ზოგი საკუთარ გადამამუშავებელ ქარხანასაც ფლობს. რა გამოდის, საშუალო დონის მეწარმე, რომელსაც უფრო მეტი აქვს დანახარჯები, 30 თეთრით ნაკლებად ყიდის, რატომ? იმიტომ, რომ ის არ არის კარტელური შეთანხმების მონაწილე. დღეს საქართველოში საწვავის ყველაზე მაღალი ფასი უნდა იყოს 1,30 ლარი.

**— თუ ჩამოვა 26 დოლარამდე, მაშინ სადამდე უნდა ჩამოვიდეს.**

– ასე ნუ ვიანგარიშებთ, აქ არის ტრანსპორტირება, დღგ, სხვა ხარჯები და ასე შემდეგ. როგორც მსოფლიო ბაზარზე მცირდება, ზუსტად ისე ვერ შეამცირებენ, ანუ ვერ გაანახევრებენ, სხვადასხვა სპეციფიკაა, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენს ბაზარს მნიშვნელოვნად მაინც უნდა დაეტყოს. ვიმეორებ, სპეციალურად წელავენ სასამართლო პროცესს და როდის რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ, არავინ იცის.

### რატომ არ ამცირებენ ფასს მნიშვნელოვნად?

იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ კომპანიები პროდუქციას დოლარში ყიდულობენ და მერე ლარში ყიდიან. თუ ლარი გამყარდება, შესაბამისად, საწვავის ფასიც შემცირდება.

რაც შეეხება 60-თეთრიან მოგებას, მთვრალაშვილი ამბობს: „არა, ასეთ კოლოსალურ მოგებაზე არავინ არ მუშაობს, არის რეალური, ანუ საშუალო მოგება. სხვათა შორის, ამ საფინანსო დასკვნებს წერენ მსოფლიოს ხუთეულში შემავალი აუდიტორული კომპანიები. თუ ასეთი კოლოსალური მარჟაა, მაშინ ფინანსურ ანგარიშებშიც უნდა იყოს ასახული. მე ზუსტ ციფრს ვერ გეტყვით, მაგრამ ამხელა ფასდანამატით კომპანიები მუშაობდნენ, ეს წარმოუდგენელია“.

**ნავთობკომპანიებისგან წარმოუდგენელი ნამდვილად აღარაფერია. თუ მართლა საშუალო მოგება აქვთ, მაშინ გამოვიდნენ და ოფიციალური ხარჯები და მოგება გაასაჯაროვონ. მაგრამ ამას ცოცხალი თავით არავინ აკეთებს, ამის გარკვევის მცდელობა არაერთხელ გვქონია...**

## „შვილო ჰაკიმ... შენი ყოფით გულდამძიმებული კეთილი მეზობლის გამუდმებული შეგონება“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე ყოფილ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს სოციალურ ქსელში მიმართავს:

– და აი, ფინალიც. გადავხედე ამ წლების პოსტებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თვეების მანძილზე კეთილი რჩევების მეტი არაფერი შემომითავაზებია. მესმის, შუშის ოლიმპოს გადაფიჩინებული ხაზეინი გთრგუნავდა, გსრესდა ყოველწუთიერად საკუთარი გადაგლესილი ტვინის გაუგონარი ზმანებების აღსრულების მოთხოვნით. ფიზიკურად გფიტავდა და განადგურებდა, გაბრმავებდა და გაყრუებდა. მაგრამ გაუსაძლის გათანგულობაში უნდა გაგეგონა ერთადერთი გულშემატკივრის, შენი ყოფით გულდამძიმებული კეთილი მეზობლის გამუდმებული შეგონება: შვილო, ჰაკიმ, შეიცადე; შვილო, ჰაკიმ, გაიაზრე; შვილო, ჰაკიმ, დაფიქრდი... უნდა ჩასჭიდებოდი ამ ერთადერთ მაშველ რგოლს... ჩემს პასუხისმგებლობას ჩემი არჩევანი განაპირობებსო, თქვი – არასდროს გიმართლებდა არჩევანში: სამი მამა გყავს – ბიოლოგიური, შეძენილი (სიმამრი) და უძღები (დიახ, უძღები მარტო შვილი კი არა, მამაც არსებობს, რაშიც დარწმუნდი) და სამივე მხოლოდ შენს ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის მოწყობაზე ფიქრობს. გაფრთხილებდი – შუა ჯირითში დაგანარცხებს – არ მომისმინე. ახლა? ერთ რჩევასაც მოგცემ და დავიშალოთ: შვილო, ჰაკიმ, იყუჩე, დაისვენე, ცხვირი ნორმალური ადამიანის დონეზე გაასწორე, ნურც ჩამოუშვებ, ნურც აიპრიხავ. დაივიწყე ათეულობით გამოჩენილი ხელის ჩამორთმევა. წადი საფრანგეთში, თავიდან, ოფიციანტობიდან დაიწყე, ფულიან ხალხს ერიდე, სიმამრს დაუმტკიცე, რომ კაცი ხარ, მამას აჩვენე, რომ დამოუკიდებელი ხარ და გადაწყვეტილებები მერე მიიღე. მაშინ აღარ მოგიხდება ასე ნანატრ ტერასაზე მხოლოდ სამი წუთით დგომა, გადაწყვეტილების მიღების მიზეზის ვერახსნა და ბოლო საპრემიერო გამოსვლის მხოლოდ საყვარელ ნუნუკაზე გადატარება. მშვიდობით, შვილო, ჰაკიმ. საკუთარ თავს ებარებოდე... – წერს თარგამაძე. (პირველი რადიო)

## 16 აშშ დოლარი, ნავთობის ახალი ფასი — 2016 წლისთვის



2016 წლის დასაწყისში ნავთობის ფასმა ბარელზე შესაძლოა, 16 აშშ დოლარი შეადგინოს. ასეთია **Royal Bank of Scotland**-ის წინასწარი პროგნოზი.

ბანკის მთავარი ეკონომისტის ენდრიუ რობერტსის განცხადებით, ფაქტორები, რომელთაც 2015 წელს მსოფლიო პოლიტიკა შეეჯახა, 2016 წელს ეკონომიკაზე დიდ გავლენას ჰპოვებს და ეკონომიკური კუთხით 2016 უარესი იქნება, ვიდრე 2015. ეს ყველაფერი კი ნავთობის ფასზე აისახება.

რობერტსის განცხადებით, ნავთობის ფასი უკვე მიექანება მოკლევადიანი ფასისკენ – ბარელი 26 დოლარი და შემდეგ უკვე დადგება მომენტი, როდესაც ნავთობის ფასი მხოლოდ 16 დოლარი იქნება. რობერტსის განცხადებით, ამ პროგნოზს ამყარებს ისიც, რომ სწრაფი ტემპებით ვითარდება ახალი ტექნოლოგიები და ამის ერთ-ერთ მაგალითად მას ელექტრომობილებზე გაზრდილი მოთხოვნილება მოჰყავს. (პირველი რადიო)

## მსოფლიო მედია ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას აქტიურად აშუქებს




ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობიდან გადადგომა, მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია. „ასოშეიტედ პრესი" წერს, რომ პრემიერი ორწლიანი მმართველობის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გადადგა, იმ დროს როდესაც მმართველი კოალიცია ცდილობს, საკუთარი პოპულარობა გაზარდოს. სტატიის ავტორის თქმით, ბიძინა ივანიშვილის მიერ შს მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე ირაკლი ღარიბაშვილს არავინ იცნობდა.

სააგენტო „როიტერი" ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას „მოულოდნელ ნაბიჯს" უწოდებს. სტატიაში ნათქვამია, რომ სატელევიზიო მიმართვაში ექსპრემიერს გადადგომის მიზეზებზე არ უსაუბრია, თუმცა ყველა, ვინც ამ მოვლენებს აკვირდება, ასევე ოპოზიციაც, ამ ნაბიჯს, ბოლო გამოკითხვების თანახმად, კოალიციის რეიტინგის ვარდნას უკავშირებს.

„რადიო თავისუფლების" ევროპის ბიურო კი აღნიშნავს, რომ ეს იყო უეცარი გადაწყვეტილება, რომელმაც ქვეყანაში არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ახალი პოლიტიკური გაურკვევლობა შექმნა.

„ქართული ოცნების" რეიტინგის ვარდნაზეა გამახვილებული ყურადღება გერმანული გამოცემა „დოიჩე ველეს" სტატიაში. (პირველი რადიო)

## შვილისა და შვილიშვილის სიკვდილის რა ვერსია აქვს მაგდა პაპიძის დედამთილს და რა ახალ დეტალებს ამხელენ მეზობლები



ფერაძის ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. 25 წლის მაგდა პაპიძე ქმრისა და ერთადერთი 5 წლის ვაჟის მკვლელობაშია ბრალდებული. პაპიძე დანაშაულს არ აღიარებს, მისი ადვოკატი ბრალდებულის პატიმრობიდან განთავისუფლებას ითხოვს.

ომარ ქაფიაშვილის ოჯახში უმძიმესი სურათია – მამა-შვილის ცხედრები ერთ პატარა ოთახშია დასვენებული, იმავე ოთახში, სადაც, სავარაუდოდ, მკვლელობა მოხდა. გარდაცვლილი ომარ ქაფიაშვილის დედა ლილი ქაფიაშვილი და უმცროსი ძმა მალხაზ ქაფიაშვილი ტრაგედიაზე არ საუბრობენ.

როგორც ოჯახის ახლობლები პირად საუბრებში ამბობენ, ომარ ქაფიაშვილს, სავარაუდოდ, ძილის წამალი ჰქონდა მიღებული. მათი ვარაუდით, მაგდა პაპიძემ ქმარი დააძინა და ამის შემდეგ ჩაარტყა თავში ჩაქუჩი. ქაფიაშვილების ახლობლები ტრაგედიის საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ. მათი ვარაუდით, სახლში გასისხლიანებული კედლებისა და იატაკის გაწმენდის შემდეგ, პაპიძემ მეუღლის გვამის გადაგდება სცადა. სადარბაზოსთან მანქანა მიიყვანა და ცდილობდა, მოკლული ქმრის ცხედარი ავტომობილის საბარგულში ჩაესვენებინა, რა დროსაც მეზობელმა დაინახა და ამის შემდეგ დაიწყო კივილი. რაც შეეხება 5 წლის თორნიკეს, ახლობლების თქმით, ის დედას, სავარაუდოდ, გაჩუმების დროს შემოაკვდა.

ოჯახის ახლობლები არ გამორიცხავენ, რომ საქმეში არსებობს კიდევ ერთი პირი, რომელიც ბრალდებულს ყველაფრის განხორციელებაში დაეხმარა.

ომარ ქაფიაშვილის დედა, ლილი ქაფიაშვილი ამბობს, რომ ის რძალმა მოატყუა. როდესაც დედამთილმა შვილი და შვილიშვილი მოიკითხა, მაგდა პაპიძემ უთხრა, რომ ისინი ხაჭაპურის საჭმელად იყვნენ წასული, ამ დროს კი ორივე გარდაცვლილი იყო სახლში და მათი ცხედრების სახლიდან გატანა ქალმა ღამის ოთხი საათისთვის, ყველასგან მალულად სცადა.

ქაფიაშვილების მეზობლების თქმით, რძალსა და დედამთილს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ, ლილი ქაფიაშვილი მუშაობს და მაგდა პაპიძეს პატარა თორნიკეს აღზრდაშიც ძალიან ეხმარებოდა. კარგ დედად ახასიათებენ მეზობლები თავად მაგდა პაპიძესაც.

– ლილი ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რა უბედურება დაატყდა თავს, შოკშია, რამდენჯერაც წაიყვანეს პოლიციაში, უკან მოჰყავთ. ზოგჯერ ჰგონია, რომ ომარი ცოცხალია და პოლიციელებს ეკითხება, სად არის, ომარი მომიყვანეთ, მაგდას კი ინსულინის ნემსი მიუტანეთ, ცუდად არისო, – აცხადებენ მეზობლები.

როგორც მეზობლებთან საუბრებიდან ირკვევა, გარდაცვლილი მამა-შვილის პანაშვიდზე მხოლოდ მაგდა პაპიძის და, ლანა იმყოფებოდა, რომელმაც სახლიდან დის ტანსაცმელი და ის ნივთები წაიღო, რომელიც მისი შეძენილი იყო. ლანა პაპიძემ, ასევე, წაიღო ომარ ქაფიაშვილის ტანსაცმელიც.

ოჯახის ახლობლები ვარაუდობენ, რომ ამ ტანსაცმელში მაგდა პაპიძე რაღაცას მალავდა. ოჯახის ახლობლები, ასევე, ფიქრობენ, რომ მაგდა პაპიძეს რომელიმე სექტასთან ჰქონდა ურთიერთობა და ქმარ-შვილი სექტას მსხვერპლად შესწირა.

ომარ ქაფიაშვილი წლების მანძილზე საკონტრაქტო სამსახურში მუშაობდა. ბოლოს შიდა ქართლის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში იმყოფებოდა.

ომარ ქაფიაშვილის ხელმძღვანელი, ბაგრატ კასრაძე:

– ძალიან კარგი ბიჭი იყო, მეგობრული, გვერდში დგომა იცოდა. ორი თვის წინ გადმოვიდა ჩვენს დანაყოფში. დიდ პატივს სცემდა მეუღლეს, კარგი მამა იყო. შოკისმომგვრელი ამბავია ჩვენთვის, ძალიან უყვარდა მეუღლე და რატომ მოხდა ეს, არ ვიცი. სამ დღეში ერთხელ უწევდა ჩვენთან 24-საათიანი მუშაობა.

ომარ ქაფიაშვილმა და მაგდა პაპიძემ ერთმანეთი 6 წლის წინათ სასოფლო უნივერსიტეტში გაიცნეს, შემდეგ დაქორწინდნენ. ომარის მეგობრის თქმით, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, წყვილს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

– ახლა გავიგეთ, რომ კონფლიქტები ჰქონდათ ოჯახში. ომარს მაგდა ძალიან უყვარდა, გიჟდებოდა. მაგდაც არაჩვეულებრივი დედა იყო ბავშვისთვის. ერთმანეთი 6 წლის წინათ გაიცნეს, მაგდა გორელია, მამა არ ჰყავს. სულ საკონტრაქტო სამსახურში იყო ომარი, როგორ უნდა ყოფილიყო ლოთი ან პათოლოგი, როგორც ამას მაგდა ამბობს? ყველანაირ შემოწმებას გავდივართ საკონტრაქტო სამსახურში მიღების დროს და თუ ფსიქოლოგიური პრობლემები გაქვს, არავინ მიგიღებს. ომარს მაგდა ისე ძალიან უყვარდა, ყველაფერს პატიობდა. „კარფურში" და უბნის ერთ მაღაზიაში მუშაობდა მაგდა, მაგრამ ცოტა ხელცივი გოგო იყო, რაღაცების მოპარვა უყვარდა და ამის გამო გამოუშვეს ორივე სამსახურიდან. რაც შეეხება ომარის ვალებს, 2500 ლარი ჰქონდა ხელფასი, კმაყოფილი იყო თავისი სამსახურით და არასდროს უთქვამს, რომ ვალები აქვს. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გაეკეთებინა მაგდას ეს? რომ ამბობს, თითქოს, ომარი პათოლოგი იყო და მასთან დარეკვა გვიანობამდე ამის გამო ვერ გაბედა, ტყუილია, მაგდა ძალიან თამამი გოგოა და ის თავს არავის დააჩაგვრინებდა...

როგორც ქაფიაშვილების მეზობლებმა გვითხრეს, მაგდა პაპიძეს სასიყვარულო ურთიერთობა მათივე უბნელთან, ოთარ ბერძენიშვილთან ჰქონდა, რომელიც სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა „მეგობარ მამაკაცად" დაასახელა. ბერძენიშვილმა გამოძიებას უკვე მისცა ჩვენება. მეზობლები ბერძენიშვილს კარგად ახასიათებენ და შიშობენ, მაგდა პაპიძემ ის „უბედურებაში არ ჩაითრიოს". ჩვენ ვცადეთ, გავსაუბრებოდით ოთარ ბერძენიშვილს, თუმცა ის სახლში არ დაგვხვდა. გავარკვიეთ, რომ ისიც სასოფლო უნივერსიტეტში სწავლობდა. მისი და მაგდა პაპიძის ურთიერთობა ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ერთი წლის წინათ დაიწყო. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## გრიგორი ლეპსს უკრაინაში შესვლა აეკრძალა



უკრაინის კულტურის სამინისტრომ განახლებული „შავი სია" გამოაქვეყნა, რომელშიც რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი არტისტები და სპორტსმენები მოხვდნენ.

სამინისტროს აზრით, სიაში მყოფი პირები საფრთხეს უქმნიან უკრაინის ეროვნულ უსაფრთხოებას.

განახლებული სია 83 ადამიანისგან შედგება. ახალი სიის თანახმად, უკრაინამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა კინორეჟისორები ვლადიმირ ბორტკო და პაველ ლუნგინი, მუსიკოსები ალექსანდრ როზენბაუმი, გრიგორი ლეპსი, სერგეი პენკინი და სხვები.

„შავ სიაში", ასევე, მოხვდა ამერიკელი მოკრივე როი ჯონს უმცროსი, რომელმაც ცოტა ხნის წინ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში რუსული სერიალებისა და ფილმების ჩვენებაც აიკრძალა. აკრძალულ ფილმებს შორის არის „ბედის ირონიაც".

მიმდინარე წელს, უკრაინამ ქვეყანაში შესვლა რუსეთის ასობით მოქალაქეს, მათ შორის ხელოვანებს აუკრძალა. ესენი არიან – მიხეილ ბოიარსკი, სერგეი ბეზრუკოვი, ოლეგ გაზმანოვი, იოსებ კობზონი, ვალერია, ნიკოლაი რასტორგუევი, ეგორ ხოლმოგოროვი. ასევე, ფრანგი მსახიობი და პუტინის მეგობარი ჟერარ დეპარდიე. (ნიუპოსტი)

## ბერძენიშვილი ელოდება, რომ ახალ მინისტრთა კაბინეტში „რესპუბლიკელი" მინისტრები პოსტებს შეინარჩუნებენ



უმრავლესობის დეპუტატი დავით ბერძენიშვილი იმედოვნებს, რომ „რესპუბლიკელები" მომავალი მთავრობის შემადგენლობაშიც აქტიურად გააგრძელებენ მუშაობას.

როგორც დეპუტატი ამბობს, „რესპუბლიკური პარტია" კოალიციურ მთავრობაში მთავარი წამყვანი ძალაა.

– სენსიტიურები ვართ არა „რესპუბლიკელები", არამედ ის ადამიანები საქართველოს პარლამენტში, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილი თუ არ იქნება პრემიერი, შეშფოთებულები არიან, თავად სად იქნებიან. მე ამით შემოვიფარგლები. „რესპუბლიკელები" სანდო სუბიექტები ვართ კოალიციის. როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და თვითმმართველ ქალაქებში. „რესპუბლიკელები" ერთ-ერთი წამყვანი ძალა ვართ კოალიციური ხელისუფლების. ასევე, ვაპირებთ გავაგრძელოთ. ველოდები, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის მთავრობაში „რესპუბლიკელების" პასუხისმგებლობა „რესპუბლიკელების" მინისტრებით ისევე იქნება გაგრძელებული, როგორიც ეს იყო ღარიბაშვილის მთავრობაში", – აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დიუმა. „ვიკონტ დე …“
2. პოეტების საკრებულო მთა
3. მსახიობი ქეით …
4. მიშა ანდღულაძის პერსონაჟი
5. მონასტერი ისტორიულ ტაოში
6. ზანგი, ანუ …
7. ქალაქი თურქეთში
8. მხატვარი ელენე …
9. საბაჟო აჭარაში
10. მისი დედაქალაქია რომი
11. ჰომეროსის პოემა
12. არომატული ნივთიერება
13. აბატი პრევო. „მანონ …“
14. იაპონელი თვითმკვლელი
15. ძალიან ტკბილი ნივთიერება
16. სამხედრო ფორმის ქურთუკი
17. დიდი ქვა
18. ჭიდაობის სახეობა
19. თავის წინა მხარე
20. იტალიის კუნძული
21. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
22. ქალაქი ყირიმზე
23. სოფელი ხაშურთან
24. დაბა დუშეთის რაიონში
25. რიცხვი ექვსი ნულით
26. საათის ციფერბლიანი ფირფიტა
27. მწერლები … და პეტროვი
28. მამაკაცის მაღალი ხმა
29. გარეული ფრინველი
30. კენჭი, ქანი
31. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
32. გრამატიკის ნაწილი
33. ჭაობში წარმოქმნილი ნიადაგი
34. სპორტის სახეობა
35. ცხენბურთი
36. პატარა ტანის ძაღლი
37. „…, თქვენ გულით სიკვდილი“
38. პროვინცია კანადაში
39. სოფელი ახმეტის რაიონში
40. „უდიპლომო სასიძო“ აბაშიძე
41. არაქისიანი შოკოლადი
42. ცხიმიანი, კალორიული
43. მზის სისტემის პლანეტა
44. ტაძარი კახეთში
45. მთათა სისტემა …-შანი
46. იტალიელი კომპოზიტორი
47. დარტანიანის სატრფო
48. ყაჩაღი
49. მომღერალი … ბრეგვაძე
50. სპირალურად დახვეული მავთული
51. მოგზაური … პოლო
52. ტროპიკული ნაყოფი
53. აივენჰოს სატრფო
54. კუნძული კანარის კუნძულებში
55. მწერალი … მოემი
56. სახის ნაწილი
57. მსახიობი … როკი
58. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
59. შხამიანი მწერი
60. მსახიობი ტომ …
61. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
62. ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებ.
63. … მურომეცი
64. გიორგი დანელიას ფილმი
65. რეჟისორი … დამიანი
66. მომღერალი დაიანა …
67. შალაშინით ათლილი ხე
68. მსახიობი ედვარდ …
69. კედლის მანდალი
70. რეჟისორი გიორგი …
71. ბედი
72. მსახიობი … რუსო
73. მსაჯი, ანუ …
74. მსახიობი … მარსო
75. ჩოგბურთელი იანიკ …
76. მულტფილმი „მონსტრების …“
77. ბათუმის შემოგარენი
78. ახლადგამოჩეკილი თევზი
79. მსახიობი … კინსკი
80. უქორწინო თუთიყუში
81. ნორმიდან გადახრა
82. მტაცებელი ფრინველი
83. ინდიელის ფეხსაცმელი
84. ცხვრების სადგომი
85. დაწმენდილი შაქარი
86. იაპონური ფულის ერთეული
87. ამერიკელების მეტსახელი
88. მეტამორფოზის ბოლო სტადია
89. შტატი აშშ-ში
90. მსახიობი … დელონი
91. იაპონური ჭიდაობა
92. დადგენილი გადასახადი
93. მსახიობი სოფი …
94. გამოცდები ინსტიტუტში
95. ინდიელის ნაჯახი
96. ერთგვარი ქარი
97. დამუხტული ნაწილაკი
98. მომღერალი მირეი …
99. შვარცენეგერის მეტსახელი „რკინის …“
100. სასულე ინსტრუმენტი
101. შტატი აშშ-ში
102. მეცნიერება მცენარეებ. შესახებ
103. ფოლადის სადნობი ღუმელი
104. პატარა მგალობ. ფრინველი
105. სიროფში მოხარშული ხილი
106. ქირურგის დანა
107. ფილმის ხელახალი გადაღება
108. გიორგი სააკაძის სოფელი
109. მსახიობი … ბერი
110. დიუმა. „… წლის შემდეგ“
111. მოჭადრაკე ქეთევან …
112. სანელებელი
113. კათოლიკე მღვდელი
114. კომპოზიტორი … კალმანი
115. მსახ. … ამირანაშვილი
116. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
117. ყირგიზეთის დედაქალაქი
118. პირის ღრუს გაგრძელება
119. კარგი ამინდი
120. ფიქრები მომავალზე
121. გასეირნება ქალაქგარეთ
122. მდ. სანკტ-პეტერბურგში
123. ოჯახი, ანუ …
124. ვულკანი სიცილი-აზე
125. ტალახი
126. ქრისტიანთა წმინდა თასი
127. მდინარე გარმანიაში
128. პოეტი … კალანდაძე
129. განმუხტვა ღრუბლებში
130. ძვ. თბილისური მიმართვა
131. წყლის საღებავები
132. კომპოზიტორი ბედრჟიხ …
133. ჩინეთის დედაქალაქი
134. მწვანილი
135. კონტინენტი
136. მამათა დიდი მონასტერი
137. აჟულის მამა
138. „…? სად? როდის?“
139. მომღერალი … კოლინზი

პასუხები: 1. ბრაჟელონი; 2. პარნასი; 3. ბლანშეტი; 4. მარეხი; 5. ოშკი; 6. აფრო-ამერიკელი; 7. სტამბოლი; 8. ახვლედიანი; 9. სარფი; 10. იტალია; 11. „ილიადა“; 12. ესენცია; 13. ლესკო; 14. კამიკაძე; 15. ქსილიტი; 16. კიტელი; 17. ლოდი; 18. სამბო; 19. სახე; 20. სიცილია; 21. კილტი; 22. იალტა; 23. იტრია; 24. ფასანაური; 25. მილიონი; 26. ციფერბლატი; 27. ილფი; 28. ფალცეტი; 29. კაკაბი; 30. ქვა; 31. იანიჩარი; 32. სინტაქსი; 33. ტორფი; 34. ფრენბურთი; 35. პოლო; 36. ფინია; 37. ბოდიში; 38. კვებეკი; 39. ალვანი; 40. გენიოსა; 41. „სნიკერსი“; 42. მსუყე; 43. ვენერა; 44. ალავერდი; 45. ტიან; 46. როსინი; 47. ბონასია; 48. აბრაგი; 49. ნანი; 50. ზამბარა; 51. მარკო; 52. ბანანი; 53. როენა; 54. ტენერიფე; 55. სომერსეტ; 56. ყბა; 57. კრის; 58. ოფელია; 59. კელა; 60. კრუზი; 61. იკაროსი; 62. ტიუსო; 63. „ილიადა“; 64. „აფონია“; 65. დამიანო; 66. როსი; 67. ბურბუშელა; 68. ნორტონი; 69. ბრა; 70. დანელია; 71. სვე; 72. რენე; 73. რეფერი; 74. მარსელ; 75. მოა; 76. კორპორაცია; 77. მახინჯაური; 78. ლიფსიტა; 79. ნასტასია; 80. არა; 81. ანომალია; 82. ორბი; 83. მოკასინი; 84. ფარეხი; 85. რაფინადი; 86. იენა; 87. იანკი; 88. იმაგო; 89. ილინოისი; 90. ალენ; 91. სუმო; 92. ტარიფი; 93. ლორენი; 94. სესია; 95. პასატი; 97. იონი; 98. მატიე; 99. არნი; 100. კლარნეტი; 101. ალაბამა; 102. ბოტანიკა; 103. მარტენი; 104. ნიბლია; 105. მურაბა; 106. ლანცეტი; 107. რიმეიქი; 108. ნოსტე; 109. ჰოლი; 110. ოცი; 111. არახამია; 112. მარილი; 113. აბატი; 114. იმრე; 115. ამირან; 116. კარავი; 117. ბიშკეკი; 118. ხახა; 119. დარი; 120. ოცნება; 121. პიკნიკი; 122. ნევა; 123. კერა; 124. ეტნა; 125. ლაფი; 126. გრაალი; 127. რაინი; 128. ანა; 129. ელვა; 130. ტო; 131. აკვარელი; 132. სმეტანა; 133. პეკინი; 134. ქინძი; 135. აზია; 136. ლავრა; 137. პიპინია; 138. რა; 139. ფილ. იკითხება: ჟან მარე.



ეს ხე მსოფლიოში ყველაზე მაღალია, იგი 3000 წელს და მეტსაც ცოცხლობს. გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ხეს აქვს საკუთარი სახელი და პასპორტი. მათ შორის გამორჩეულია „გენერალი შერმანი", რომელიც 3500 წლისაა




ეს კუნძული განთქმულია ეგზოტიკური და ამასთან, გიგანტური მცენარეებით. ერთ-ერთი მათგანია ფოტოზე წარმოდგენილი ამორფოფალუსი, რომელიც 25-35 კილოგრამს იწონის, ფოთლის სიგრძე კი 5 მეტრს აღწევს. ყვავილი გამოსცემს ლაყე კვერცხისა და ლეშის „სასიამოვნო არომატს". რომელ კუნძულზე იზრდებიან ასეთი მცენარეები

1. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
2. ტელეანძა მოსკოვში
3. რეჟისორი პედრო ...
4. მსახიობი ... კეიჯი
5. საზღვაო კურორტი ბულგარეთ.
6. „თოჯინები იცინიან". რეზიკოს როლში მერაბ ...
7. ტალღებზე ცურვა ფიცრით
8. მიმართვა ამერიკელი ქალისადმი
9. რამაზ გიორგობიანი ფილმში
10. მსახიობი სესილია ...
11. ანსამბლ „იველის" დამაარსებელი
12. მან შეისწავლა რეფლექსები
13. მე-17ს. ინგლისელი პოლიტიკოსი
14. მუზების მფარველი ღმერთი
15. თაღი
16. სახელმწიფო ევროპაში
17. თამაში 64უჯრიან დაფაზე
18. კომპოზიტორი რევაზ ...
19. პატარა ქვა
20. ჯუჯა კამეჩი
21. ს/ფ „ქრიზისი" ნამორაძის პროფესია
22. რეჟისორი ... იოსელიანი
23. ზღვაოსანი ... და გამა
24. ტორტის საცხი
25. მსახიობი ... კვერენჩხილაძე
26. სისხლნაკლებობა
27. „წყნარი დონი" მწერალი
28. ვერტიკალურად მოძრავი კაბინა
29. ესპანური ღვინო
30. პაპის რეზიდენცია რომში
31. მსახიობი ... პენი
32. თეატრის ყველა სპექტაკლი
33. გიორგი სააკაძე-დიდი ...
34. ქედი რუსეთში
35. ბურუსი
36. მხატვარი ანრი ტულუზ-...
37. კამპასის შკალის ფურცელი
38. ეკლიანი მცენარე
39. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
40. სპაიდერმენი: ადამიანი-...
41. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
42. პოეტი ... პეტეფი
43. გულის დაავადება
44. წინწმის ძირის ანთება
45. კომპოზიტორი ... კარგარეთელი
46. მ/ფ „... 11 მეგობარი"
47. მწნილი
48. ... შანელი
49. მსახიობი ჯონ ...
50. შემინული მიშენება სახლზე
51. თოვლიანი ქარი
52. მევიოლინე ... ისაკაძე
53. კომპოზიტორი ... თარივერდიევი
54. სკულპტურა, ანუ ...
55. ... შრომა, მერე ჭამა
56. ქარით ატანილი მტვერი
57. დიდი კაშკაშა ციური სხეული
58. ილუზიონისტი დევიდ ...
59. ომში: ... და ნაღარა
60. საზღვაო კურორტი თურქეთში
61. მწერალი ნოდარ ...
62. მუსიკ. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
63. თვალის ქვედა ნაწილი
64. მსახიობი ნიკოლ ...
65. საგზაო ახალი ამბავი
66. მისი დედაქალაქია ამანი
67. სიმდიდრით ცნობილი ლიდიის მეფე
68. ოპერის შესავალი ნაწილი
69. ფანჯრის დასაკიდებელი დეტალი
70. ტაფამწვარი
71. მსახიობი ჰარისონ ...
72. მსახიობი მარი ...
73. ბავშვის დასაშინებელი სიტყვა
74. მწვანე ადგილი უდაბნოში
75. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
76. იუპიტერის მეუღლე
77. კომპოზიტორი ... შოპენი
78. მწყემსის მოსასხამი
79. მსახიობი დრიუ ...
80. ... უდუმაშვილი
81. ჰავა
82. ზღვარი, ანუ ...
83. მოხდენილი ტანკერი
84. წიწვოვანი ხის ჯიში
85. ზღაპრები „... ერთი ღამე"
86. მომღერალი ... ლავინი
87. სახელმწიფო აფრიკაში
88. ჯეიმს კამერონის ფილმი
89. „პერ გიუნტის" კომპოზიტორი
90. შტატი აშშ-ში
91. ზამთრის ხილი
92. მსახიობი ... გარდნერი
93. მოქანდაკე ... კუჩხიძე
94. ხიფათი
95. ძველი ბერძენი, ანუ ...
96. რეჟისორი ... რიჩი
97. პიანისტი ელისო ...
98. მინდვრის ყვავილი
99. რეჟისორი ... რობერტო
100. ბედი
101. გრძნობის გამოხატვა
102. თამაშში: არჩევანი და ...
103. ჰუნების ბელადი
104. ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში
105. კამეჩის ნაშიერი
106. მხლებლები ... ქორწილში
107. ბერძ. ანბანის პირველი ასო
108. ზღვის კომბოსტო
109. ... და ვინჩი
110. კაშხალი ეგვიპტეში
111. ვერცხლისწყალი
112. ყურძნის ჯიში
113. რეჟისორი ... მიხალკოვი
114. პერსონა ... გრატა
115. ცოლის მამა ქმრისთვის
116. საოპერო პარტია
117. ფრანგული ოქროს მონეტა
118. ცხენებშებმული ტრამვაი
119. ერთგანი ხარდში
120. ბალაშვილების იუმორისტ. დადგმა
121. სათლი, ანუ ...
122. საიუველირო ლითონი
123. კაციჭამია, ანუ ...
124. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
125. სილა
126. პოეტი ... ფოცხიშვილი
127. ვულკანის ჯამის ფორმის ჩაღრმავება
128. ჟან-კლოდ ... დამი
129. მსახიობი ... ფეროუ
130. კ. გამსახურდიას მოთხრობა
131. იაპონური თეატრი
132. პანტომიმის მსახიობი (ზოგადად)
133. ... აქ, ... ისე
134. ფიზიკოსი ... ნიუტონი
135. ნაყოფიანი ხე
136. პულსის ადგილი ხელზე
137. ოპერა „ევგენი ..."
138. მომღერალი ... ოსბორნი
139. თევზის ძვალი

პასუხები: 1. ბალასტი; 2. „ოსტანკინო"; 3. ალმოდოვარი; 4. ნიკოლას; 5. ვარნა; 6. თავაძე; 7. სერფინგი; 8. მემ; 9. „სერენადა"; 10. თაყაიშვილი; 11. ბასილაია; 12. პავლოვი; 13. კრომველი; 14. აპოლონი; 15. არკა; 16. დანია; 17. ჭადრაკი; 18. ლაღიძე; 19. კენჭი; 20. ანოა; 21. არქიტექტორი; 22. ოთარ; 23. ვასკო; 24. კრემი; 25. ზინაიდა; 26. ანემია; 27. შოლოხოვი; 28. ლიფტი; 29. ხერესი; 30. ვატიკანი; 31. ენ; 32. რეპერტუარი; 33. მოურავი; 34. ურალი; 35. ნისლი; 36. ლოტრეკი; 37. რუმბი; 38. კაქტუსი; 39. ლუქსემბურგი; 40. ობობა; 41. ტაიმი; 42. შანდორ; 43. მანკი; 44. ჯიბლიბო; 45. ია; 46. ოუშენის; 47. მარინადი; 48. კოკო; 49. კიუსაკი; 50. ლოჯია; 51. ქარბუქი; 52. ლიანა; 53. მიქაელ; 54. ქანდაკება; 55. ჯერ; 56. ბუქი; 57. ბოლიდი; 58. კოპერფილდი; 59. ბუკი; 60. ანტალია; 61. დუმბაძე; 62. ნოტი; 63. უპე; 64. კიდმანი; 65. ნიუსი; 66. იორდანია; 67. კრეზი; 68. უვერტიურა; 69. ანჯამა; 70. ომლეტი; 71. ფორდი; 72. დიუბუა; 73. ბუა; 74. ოაზისი; 75. იისფერი; 76. იუნონა; 77. ფრედერიკ; 78. ნაბადი; 79. ბერიმორი; 80. ზაალ; 81. კლიმატი; 82. მიჯნა; 83. ტანკერი; 84. ნაძვი; 85. ათას; 86. ავრილ; 87. სენეგალი; 88. „ავატარი"; 89. გრიგი; 90. ვირჯინია; 91. კარალიოკი; 92. ავა; 93. ალა; 94. ფათერაკი; 95. ელინი; 96. გაი; 97. ვირსალაძე; 98. ყაყაჩო; 99. როსელინი; 100. სვე; 101. ემოცია; 102. არადანი; 103. ატილა; 104. ოსირისი; 105. ზაქი; 106. მაყარი; 107. ალფა; 108. ლამინარია; 109. ლეონარდო; 110. ასუანი; 111. სინდიყი; 112. პინო; 113. ნიკიტა; 114. ნონ; 115. სიმამრი; 116. არია; 117. ეკიუ; 118. კონკა; 119. იაქე; 120. „იუმორინა"; 121. ვედრო; 122. ოქრო; 123. კანიბალი; 124. ყირიმი; 125. ქვიშა; 126. მორის; 127. კრატერი; 128. ვან; 129. მია; 130. „ლილ"; 131. ნო; 132. მიმი; 133. ან; 134. ისააკ; 135. ფშატი; 136. მაჯა; 137. ონეგინი; 138. ოზი; 139. ფხა. იკითხება: სეკვოია. სუმატრა.

1. მხ/ფ „ხევსურული ...“
2. სიჩქარის საზომი ხელსაწყ.
3. ბოსტნეული
4. ფურუნკული
5. ავტომისაბმელი
6. ხელოსნების გაერთიანება ძველად
7. „მწვანე“ კონტინენტი
8. კიანოსა და კოლას ცოლი (ფილმიდან)
9. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
10. ღრიანკალი
11. ინგლისის ძველი სახელწ.
12. მსახიობი აიშვარია ...
13. საერთაშორისო ორგანიზაცია
14. რადიოგადამცემი
15. ორკესტრის ხელმძღვანელი
16. „... ოკეანის საიდუმლოება“
17. „მეფე ერეკლე და ... ქალი“
18. სისხლის გამოკვლევა
19. ლეილა აბაშიძე ფილმში
20. ცნობილი №5 სუნამოს ავტორი
21. წინაღობის ერთეული
22. გარჯა
23. ამბორი
24. „კაცი, რომელიც იცინის“ (გოგონა)
25. სამხედრო წოდება
26. ბილიარდის ჯოხი
27. კრივის მოედანი
28. ქალაქის თავი
29. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
30. ისლანდიელი მომღერალი ქალი
31. ქალაქი ნიუ-...
32. მიწის ფართობის ერთეული
33. ერთგვარი ნაჯახი
34. ვულკანური მასა
35. ჩვენი პლანეტა
36. ყმაწვილი კაცი
37. ბირმის ფულის ერთეული
38. დიდი ტალღა
39. წრის შემოსახაზი ხელსაწყო
40. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
41. გულის მთავარი სისხლძარღვის ანთება
42. მეცნიერული ნაშრომის მოკლე შინაარსი
43. თევზის ძვალი
44. სიახლე ჩაცმულობაში
45. მსახიობი ლუი დე ...
46. „...-დანდალი, ჩემო ოქროს შანდალი“
47. ცხენის ნაშიერი
48. ჯუჯა კამეჩი
49. ბოსტნეული
50. ნიშნავს საწინააღმდეგოს
51. გმირი ... დადიანი
52. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
53. მან პირველმა გაიხადა კორსეტი და იმპროვიზირებულ ცეკვებს ფეხშიშველა ასრულებდა
54. მხ/ფ „ჩვენი ...“
55. ორი ათეული
56. პრეზიდენტი ნიკოლა ...
57. მსახიობი ... თურმანი
58. მხატვარი სალვადორ ...
59. ქვის სახლის მშენებელი
60. მზესუმზირის ტკბილეული
61. კუნძული ინდონეზიაში
62. მხ/ფ „თავადის ქალი ...“
63. „შუა ქალაქში“ ... ჩხეიძე
64. მსახიობი ... ზეტა-ჯონსი
65. მწერალი ... ფანჯიკიძე
66. ახალი ... კარგად გვის
67. ღალა, ანუ ...
68. დიუმა. „დედოფალი ...“
69. სახედარი
70. მომღერალი ... ვაიკულე
71. ყანწის მასალა
72. ბალერინა ... ნიორაძე
73. საუბარი, ანუ ...
74. ... ტოლსტოი
75. მოცეკვავე მზვერავი ქალი
76. ძროხის ნაშიერი
77. სასეირნო გემი
78. ბანკის მმართველი
79. ანდამატი
80. გრეგორი პეკი ფილმში „... ოქრო“
81. სოფელი სამეგრელოში
82. არგენტინული ცეკვა
83. ... ერთობაშია
84. საყანედ გაჩეხილი ტყე
85. მომღერალი ... პიეხა
86. მხოლოდ ტანის ქანდაკება
87. სიმინდის ყვავილედი
88. ხეკაკუნა ფრინველი
89. ნიშნავს ცივს
90. პატარა ტანის ძაღლი
91. უმაღლესი ხარისხის მინა
92. ბოშათა საბჭოთა თეატრი
93. ხერხემლის დისკის ამოვარდნა
94. ხასიათი
95. სირბილი მოკლე დისტანციაზე
96. ვულკანის ყელის ჯამი
97. კალათბურთის სათამაშო შენობა
98. კომედიური სერიალი „მზეზე“
99. ოპერა „სევილიელი ...“
100. თავაშვებული ღრეობა
101. ბებია, ანუ ...
102. გემის ეკიპაჟის მეთაური
103. ბალანი, ბეწვი
104. იაზონის გემი
105. ნაბოკოვის რომანი
106. შხამიანი გველი უდაბნოში
107. მონათა აჯანყების წინამძღოლი
108. „ტრისტანი და ...“
109. მსახიობი მეგ ...
110. ფრენით ნახევარწრის გაკეთება
111. შინაური მტაცებელი ცხოველი
112. მდინარე რომში
113. პირის ნაცვალსახელი
114. გოგოლის მოთხრობა
115. პიპინიას ძაღლი
116. მხ/ფ „ზოლიანი ...“
117. ... მარშანია
118. მსახიობი ... ზაქარიაძე
119. ტაბლეტი
120. ეშმაკი, ანუ ...
121. ინის საპირისპირო
122. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
123. აირი, ანუ ...
124. დეკორატიული ყვავილი
125. ძვ. ფრანგ. ოქროს მონეტა
126. წერტილოვანი პიგმენტი კანზე
127. ახალგაზრდობაში იგი გილიოტინით მოკვეთილი თავებიდან იღებდა ცვილის ნიღბებს
128. ბანდეროლი
129. მზის ღმერთი ეგვიპტეში
130. მშვიდი განწყობა
131. რძის პროდუქტი
132. „ვარსკვლავური ომები“ პრინცესა
133. მწერი
134. მწვადის შესაწვავი ლუმელი
135. მსახიობი ... ჰანა
136. ძვ. თბილისური მიმართვა
137. მარილიანი სითხე კანზე
138. ასტრონავტი ... არმსტრონგი
139. მწვანილი
140. მსახიობი ... კახიანი
141. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
142. მედიკამენტი, ანუ ...
143. ნიშნავს ჩირქოვანს
144. გარეული ფრინველი
145. საყვავილე
146. მხატვარი ... გრეკო
147. იუპიტერის თანამგზავრი
148. სამხრეთ, ანუ ... ამერიკა
149. კუზიანი ცხოველი
150. ფრინველის სამყვდევი
151. რბილი ლითონი
152. ღრმა ყურე სკანდინავიაში
153. ფანტასტი სტანისლავ ...









პასუხები: 1. ბალადა; 2. სპიდომეტრი; 3. პომიდორი; 4. ძირმაგარა; 5. ტრეილერი; 6. ამქარი; 7. ავსტრალია; 8. ანიკო; 9. რეკორდი; 10. მორიელი; 11. ალბიონი; 12. რაი; 13. იუნესკო; 14. რაცია; 15. დირიჟორი; 16. ორი; 17. ინგილო; 18. ანალიზი; 19. „აბეზარა“; 20. კოკო შანელი; 21. ომი; 22. შრომა; 23. კოცნა; 24. დეა; 25. გენერალი; 26. კიი; 27. რინგი; 28. მერი; 29. ამური; 30. ბიორკი; 31. იორკი; 32. აკრი; 33. წალდი; 34. მაგმა; 35. დედამიწა; 36. ჯეელი; 37. ჯა; 38. ზვირთი; 39. ფარგალი; 40. „მატრიცა“; 41. აორტიტი; 42. რეფერატი; 43. ფხა; 44. მოდა; 45. ფიუნესი; 46. ადანდალი; 47. კვიცი; 48. ანოა; 49. კიტრი; 50. ანტი; 51. ცოტნე; 52. კილტი; 53. აისედორა დუნკანი; 54. ეზო; 55. ოცი; 56. სარკოზი; 57. უმა; 58. დალი; 59. კალატოზი; 60. ჰალვა; 61. იავა; 62. მაია; 63. ირაკლი; 64. კეტრინ; 65. გურამ; 66. ცოცხი; 67. ხარკი; 68. მარგო; 69. ვირი; 70. ლაიმა; 71. რქა; 72. ირმა; 73. ბაასი; 74. ლევ; 75. მატა ჰარი; 76. ხბო; 77. იახტა; 78. ბანკირი; 79. მაგნიტი; 80. მაკენას; 81. ბანძა; 82. ტანგო; 83. ძალა; 84. ახო; 85. ედიტა; 86. ტორსი; 87. ტარო; 88. კოდალა; 89. კრიო; 90. ფინია; 91. ბროლი; 92. „რომენი“; 93. დისკოზი; 94. ზნე; 95. სპრინტი; 96. კრატერი; 97. დარბაზი; 98. „ასა“; 99. დალაქი; 100. ორგია; 101. დიდედა; 102. კაპიტანი; 103. თმა; 104. „არგო“; 105. „ლოლიტა“; 106. ეფა; 107. სპარტაკი; 108. იზოლდა; 109. რაიანი; 110. კამარა; 111. კატა; 112. ტიბრი; 113. მე; 114. „ვიი“; 115. პერი; 116. რეისი; 117. ადა; 118. სერგო; 119. აბი; 120. ტარტაროზი; 121. იანი; 122. ასო; 123. გაზი; 124. ასტრა; 125. ლუიდორი; 126. ხალი; 127. მადამ ტიუსო; 128. ამანათი; 129. რა; 130. იდილია; 131. კარაქი; 132. ლეა; 133. კალია. 134. მაყალი; 135. დერილ; 136. ტრო; 137. ოფლი; 138. ნილ; 139. კამა; 140. ეკა; 141. ქიმია; 142. წამალი; 143. პიო; 144. ყორანი; 145. ლარნაკი; 146. ელ; 147. იო; 148. ლათინური; 149. აქლემი; 150. გალია; 151. კია; 152. ფიორდი; 153. ლემი.

1. ... აღმართს ხნავს
2. ბა-რაქეთა რიტმულ. ხმაური
3. სტალინის დედა
4. ყველაზე მტკიცე მინერალი
5. მუზების მფარველი ღმერთი
6. სამშობლოს მოყვარული
7. მოსეს ... მცნება
8. სახელმწიფო აზიაში
9. სიმღერის მუსიკა
10. წესი, ჩვეულება
11. მარინა ...
12. ... ტაილერი
13. ნარდის სათამაშო კუბი
14. ჟან რენო ფილმში
15. გემის მორთავი კიბე
16. ხელოვნური ენა
17. კაის მეგობარი გოგონა
18. ყვავილი
19. ნამარხი სპილო
20. ფოტოგრაფიულად გამრავლებული ნახატი
21. იგი პიგმალიონმა გამოაქანდაკა
22. კურტ კობეინის ანსამბლი
23. მსახიობი დონატას ...
24. საქონლის საკვები
25. დიპლომატის სამოსი
26. ოსმალეთში: ქვეითი ჯარისკაცი
27. მსახიობი ანუკ ...
28. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
29. ოთხიანი ნარდში
30. ბადიანი საგანი ფქვილისათვის
31. სახელმწ. ... და ტობაგო
32. მითიური არსება ჩლიქებით
33. პორტუგალიის დედაქალაქი
34. იაპონური ფულის ერთეული
35. პროდუქციის დამტარებელი
36. უბედურების მაუწყებელი სიგნალი
37. ლიბანის დედაქალაქი
38. განგაშის ხმა
39. „გლახის ნაამბობი" პერსონაჟი
40. სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
41. მწერალი თეოდორ ...
42. ... ალექსანდრია
43. ზღვაოსანი ჯეიმს ...
44. ექსპონატების დაფა
45. სტადიონი ერევანში
46. მთიდან არეკლილი ხმა
47. მოახლე ქალი სამეფო კარზე
48. კამეჩის ნაშიერი
49. სიო
50. მსახიობი ... ბოცვაძე
51. ჰოკეის რეზინის „ბურთი"
52. მსახიობი ჯორჯ ...
53. მსახიობი ... ჩურიკოვა
54. მსახიობი ... ქიქინაძე
55. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
56. მსახიობი ... კიტონი
57. კაპიტან ნემოს გემი
58. მსახიობი მეგ ...
59. სათვალიანი გველი
60. ქიმიური ელემენტი
61. ქვეყნის მისტიკური დასასრული
62. მგალობელი ფრინველი
63. ჩემოდანი დოკუმენტების სათავსი
64. ... კლარჯეთი
65. მსახიობი ... კასიანი
66. მოსწავლის მაგიდა
67. რიცხვი ექვსი ნულით
68. ამერიკული თოჯინა
69. ცუდი ამინდი
70. კორნეი ჩუკოვსკის ექიმი
71. მსახიობი ... ბრინერი
72. მსახიობი ტომი ... ჯონსი
73. მრგვალძირა ქვები
74. ანა ნიაშვილი პროფესიით
75. საკანცელარიო ნივთი
76. მხ/ფ „სოფლის ..."
77. „ვეფხისტყაოსანის" პერსონაჟი
78. მსახიობი ... რივზი
79. საბაჟო აჭარაში
80. ცეცხლის ენა
81. პიპინას შვილიშვილი
82. იაპონური ნაციონალ. სამოსი
83. პატარა ჭურჭელი სუნამოსათვის
84. ბრტყელი მრგვალი პური
85. აღორძინების ეპოქა
86. სასვენი ნიშანი
87. ირანის დედაქალაქი
88. მთავრობის ადგილსამყოფელი
89. დიდი ტალღა
90. ცხიმოვანი სიმსივნე
91. ფეხსაცმლის ზონარი
92. მომღერალი ... ბაგრატიონი
93. პოეტი ... ერისთავი
94. კონკურსის „ახალი ტალღა" (ქალაქი)
95. მსახიობი ... ბესინჯერი
96. ბოსტნეული
97. სილიციუმის მინერალი
98. ალქიმიით: ... ქვა
99. ხის სოკო
100. სულების გამოძახება
101. მსახიობი ... გარსია
102. ჰომეროსის პოემა
103. კონტრრევოლუციონერი ნესტორ ...
104. დება ... გვერზოსკაია
105. მეგიოლის ვაჟი ...
106. ალგებრული ტოლობა
107. მალევიჩის „შავი ..."
108. „20000 ... წყალქვეშ"
109. სინთეზური ბოჭკო
110. დათვის ნაშიერი
111. სათავისო მოუსვენობა
112. ჩონჩხის ნაწილი
113. გმირი: ცოტნე ...
114. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
115. რუსული საზენიტო რაკეტა
116. მდინარე ციმბირში
117. მსახიობი ... სტრიპი
118. გოგო (კუთხ.)
119. სერიალი „ჩვენი ..."
120. მოუხარშავი
121. უბანი თბილისში
122. მდინარე გერმანიაში
123. ზამთრის თვე
124. მხ/ფ „... ვალსი"
125. მდინარე ჭიათურაში
126. ზაფხულის თვე
127. ტროპიკული ნაყოფი
128. ქალაქი ფლორიდის შტატში
129. ძველი რომაელების სამოსი
130. ინგლისის პოლიცია ...-იარდი
131. მხ/ფ „... და მისი ძმები"
132. სახელმწიფო ევროპაში
133. ლაჩარი
134. მომღერალი ... მათიე
135. ერთი-ერთი თითი
136. ფხვიერი ნამცხვარი
137. ჩხუბი
138. ნასესხები ფული
139. პოეტური ნაწარმოები
140. ადამის მეუღლე
141. ძვ. თბილისური მიმართვა
142. სახედარი
143. ერთგვარი ნაყინი
144. ქმრის და
145. ... ფიტცჯერალდი
146. ლუკ ბესონის საკულტო ფილმი
147. ნილოსის წმინდა ყვავილი
148. სასხლავი მაკრატელი
149. მხ/ფ „ბედის ..., ანუ გაამოთ"
150. იაპონური თეატრი
151. მწვანე ადგილი უდაბნოში
152. წინაღობის ერთეული
153. ... ურჩევნია მამულსა






პასუხები: 1. ძალა; 2. მაცა; 3. კეკე; 4. ალმასი; 5. აპოლონი; 6. პატრიოტი; 7. ათი; 8. მალაიზია; 9. მელოდია; 10. ადათი; 11. ვლადი; 12. ლივ; 13. კამათელი; 14. „ლეონი"; 15. ტრაპი; 16. იდო; 17. გერდა; 18. ია; 19. მამონტი; 20. რეპროდუქცია; 21. გალატეა; 22. „ნირვანა"; 23. ბანიონისი; 24. სილოსი; 25. ფრაკი; 26. იანიჩარი; 27. ემე; 28. იუნგა; 29. ჩარი; 30. საცერი; 31. ტრინიდადი; 32. პანი; 33. ლისაბონი; 34. იენა; 35. დისტრიბუტორი; 36. სოს; 37. ბეირუთი; 38. სირენა; 39. გაბრიელი; 40. აკოლადა; 41. დრაიზერი; 42. ნანა; 43. კუკი; 44. სტენდი; 45. „რაზდანი"; 46. ექო; 47. ფრეილინა; 48. ზაქი; 49. ნიავი; 50. ზეინაბ; 51. შაიბა; 52. კლუნი; 53. ინა; 54. დოდო; 55. „დრაკულა"; 56. ბასტერ; 57. „ნაუტილუსი"; 58. რაიანი; 59. კობრა; 60. იოდი; 61. აპოკალიფსი; 62. იადონი; 63. კეისი; 64. ტაო; 65. ეკა; 66. მერხი; 67. მილიონი; 68. ბარბი; 69. ავდარი; 70. აიბოლიტი; 71. იულ; 72. ლი; 73. კარდალა; 74. ბალერინა; 75. რვეული; 76. აშიკი; 77. თინათინი; 78. კიანუ; 79. სარფი; 80. ალი; 81. აკიმი; 82. კიმონო; 83. ფლაკონი; 84. ლავაში; 85. რენესანსი; 86. ტირე; 87. თეირანი; 88. რეზიდენცია; 89. ზვირთი; 90. თია; 91. თასმა; 92. ლიზა; 93. რაფიელ; 94. იურმალა; 95. კიმ; 96. ნიორი; 97. კვარცი; 98. ფილოსოფიური; 99. აბედი; 100. სპირიტიზმი; 101. ენდი; 102. „ილიადა"; 103. მახნო; 104. ნია; 105. მეი; 106. იგივეობა; 107. კვადრატი; 108. ლიე; 109. ნეილონი; 110. ბელი; 111. ანკესი; 112. მენჯი; 113. დადიანი; 114. ნიკარაგუა; 115. „ისკანდერი"; 116. ირტიში; 117. მერილ; 118. ციცა; 119. ოფისი; 120. უმი; 121. ვაკე; 122. რაინი; 123. იანვარი; 124. დიდი; 125. ყვირილა; 126. აგვისტო; 127. მანგო; 128. მაიამი; 129. ტუნიკა; 130. სკოტლენდ; 131. როკო; 132. იტალია; 133. მშიშარა; 134. მირეი; 135. ნეკი; 136. ბისკვიტი; 137. დავა; 138. ვალი; 139. ლექსი; 140. ევა; 141. ტო; 142. ვირი; 143. პლომბირი; 144. მული; 145. ელა; 146. „ნიკიტა"; 147. ლოტოსი; 148. სეკატორი; 149. ირონია; 150. ნო; 151. ოაზისი; 152. ომი; 153. ის. იკითხება: შანდალი. ლარნაკი. საათი. ზარდახშა.

## ირაკლი ღარიბაშვილი და ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებაში ერთად გამოჩნდნენ



პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დატოვების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებაში ბიძინა ივანიშვილთან ერთად გამოჩნდა. ექსპრემიერი და პრემიერმინისტრობის მოვალეობის შემსრულებელი ამაღლების ეკლესიაში იმყოფებოდნენ, სადაც გიორგი კვირიკაშვილის დედის ხსოვნას პატივი მიაგეს.

არც ივანიშვილს და არც ღარიბაშვილს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. (ნიუპოსტი)

## იაპონიამ თავდაცვას რეკორდულად დიდი დაფინანსება გამოუყო



იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა რეკორდული ოდენობის თავდაცვის ბიუჯეტი მიიღო.

2016 წლის ბიუჯეტში თავდაცვის სფეროსთვის განკუთვნილი თანხა რეკორდული – 42 მილიარდი აშშ დოლარია. სამხედრო ბიუჯეტის ზრდა 2015 წელთან შედარებით 2,2 პროცენტს შეადგენს.

ეს არის პირველი სამხედრო ბიუჯეტი მას შემდეგ, რაც იაპონიის პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა. ამ ცვლილებების თანახმად, პირველად 1945 წლის შემდეგ იაპონიის შეიარაღებულ ძალებს უფლება მიეცათ, საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციებში მიიღონ მონაწილეობა.

„ბიბისის" ინფორმაციით, მომავალ წელს გათვალისწინებულია ამერიკული უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავებისა და გამანადგურებელ „ეფ-35"-ების შეძენა. (ნიუპოსტი)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33





# ევროპამ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია დაასრულა

## რა სარგებელს მიიღებენ ამით ჩვენი მოქალაქეები?

**დავით უსუფაშვილმა საქართველოს მოსახლეობას ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოგვილოცა. „კარგი ამბავი მოვიდა კიდევ, ისევ ბრიუსელიდან. ბელგია, რომელიც იყო ბოლო, 28-ე ქვეყანა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება არ ჰქონდა დასრულებული, დაასრულა ეს პროცესი. დღევანდელი მდგომარეობით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ევროპის ხელშეკრულება ყველა სახელმწიფოს მიერ არის საბოლოოდ რატიფიცირებული. გილოცავთ ამ მოვლენას".**

**რა პროცედურებია გასავლელი აღნიშნული დოკუმენტის საბოლოოდ დამტკიცებამდე და მის ამოქმედებამდე? რეალურად, რა სარგებელს მოუტანს ეს ჩვენს რიგით მოქალაქეებს?**

**„ალიას" საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ვიქტორ დოლიძე ესაუბრა:**

**— რა პროცედურებია ახლა გასავლელი და რა სარგებელს ნახავს საქართველოს მოსახლეობა ამ რატიფიცირებით?**

– ახლა უკვე პროცედურა ასეთია: დადებითი დასკვნის მომზადების შემდეგ, ევროკომისიამ ევროპარლამენტს გადასცა რეკომენდაცია, რათა მომავალი წლიდან ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებთან საქართველოსთვის ამოქმედდეს უვიზო რეჟიმი. ამ საკითხს განიხილავს ევროპარლამენტის შინაგან საქმეთა და სამოქალაქო საკითხთა კომიტეტი, რომელიც ასევე წარუდგენს, სავარაუდოდ, თავის დადებით დასკვნას ევროპარლამენტის პრეზიდენტს, შულცს, რომელიც შემდგომ უკვე ევროპარლამენტის სხდომაზე განიხილავს აღნიშნულ საკითხს და მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნდება უკან ევროკომისიას, რომ გააგრძელოს მუშაობა ამასთან დაკავშირებით და რაც შეიძლება დროულად ამოქმედდეს ეს თემა. ეს პროცესი, რაც მე ახლა ჩამოვთვალე, მოლდოვის მაგალითს თუ განვიხილავთ, 5-6 თვეზე მეტი არ უნდა გაგრძელდეს და არ მინდა წინასწარ ვადებზე საუბარი, მაგრამ შესაძლებელია, უფრო მალეც დასრულდეს, სადღაც მაისი-ივნისისკენ, მაგრამ აბსოლუტურად ინდივიდუალურ მოსაზრებას გიზიარებთ ახლა...

**— ბევრი ჩვენი მოქალაქე ვერ გაერკვია, უვიზო მიმოსვლა ყველას შეეხება? ადრე გარკვეულ კატეგორიაზე იყო საუბარი: სტუდენტებზე, ჟურნალისტებზე, ბიზნესმენებზე, ხელოვნების წარმომადგენლებზე...**

– შეეხება ნებისმიერ ჩვენს რიგით თანამოქალაქეს. აღარ მოუწევთ ვიზის ასაღებად რიგში დგომა და მე მინახავს დიდი რიგები, როგორ წვალობენ ამ პროცედურის გასავლელად.

**— ამ პროცესების დროს, ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირის რეკომენდაციების მიხედვით, ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობისთვის რამდენიმე ძალიან მტკივნეული კანონი მიიღო, ვგულისხმობ იგივე ანტიდისკრიმინაციულ კანონს და კანონს რელიგიის შესახებ, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებლურ რელიგიას ყველა სხვა რელიგია გაუთანაბრდა. ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ხომ არ გვავალდებულებს კიდევ მსგავსი სახის მტკივნეული კანონების მიღებას?**

– არა მგონია. ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რასაც ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის კანონმდებლობასთან საკანონმდებლო ჰარმონიზაცია ჰქვია და ეს გაგრძელდება. სულ, მთლიანობაში, 300-ზე მეტ კანონზე იყო საუბარი, რომელიც უნდა მოვიდეს ჰარმონიაში. თვითონ ეს პროცესი ევროკავშირშიც მიმდინარეობს, რადგან მათი კანონმდებლობა, ახალი რეალობების გათვალისწინებით, მუდმივად განახლებადია და ბუნებრივია, ჩვენ ამ რიტმს უნდა ავყვეთ. ყველაზე რთული რაც იყო და გარწმუნებთ, არა მხოლოდ საქართველოში – ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით, ანალოგიური სირთულე იყო უკრაინაშიც, მოლდოვაშიც, მაგრამ ჩვენ ყველაზე გამართულად შევძელით კანონის დონეზე მისი მიღება. ჩვენ ტოლერანტი ერი ვართ და არ უნდა გვქონოდა ამასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივია, კითხვები არსებობდა, მე ვიყავი ამ პროცესის თანამონაწილე და იოლი ნამდვილად არ იყო ამის გაკეთება.

**— რატიფიცირების შემდეგ, თუ გვექნება სამართლებრივად იმის საშუალება, რომ ევროკავშირის მიერ რაიმე მსგავსი ტიპის მტკივნეული კანონების მიღების შემოთავაზებაზე უარი ვთქვათ და მისი დაკანონებისგან თავი შევიკავოთ?**

– მე ვერ ვხედავ ვერანაირ პრობლემას ამაზე... იცით, როგორ არის? ჰარმონიზაციაში უნდა მოიყვანო ყველაფერი, ანუ მოდით, ასე ვთქვათ: ჩვენ თავიდან ბოლომდე ახალ ეპოქას ვქმნით ახლა და პოსტსაბჭოური სივრციდან გავდივართ ევროპულ ტრანზიტულ ღია სისტემაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერს, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეებისთვის ვაკეთებთ, რომ უფრო განვვითარდეთ, უფრო წინ წავიდეთ, უფრო მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათ, მეტი ინვესტიცია შემოვიტანოთ ქვეყანაში, ქვეყანა უფრო გამდიდრდეს და ხალხს კეთილდღეობის უფრო მეტი პერსპექტივა გავუჩინოთ. თუმცა, თუკი რაიმე სპეციფიკური თემები იქნება, რომელიც ჩვენს სპეციფიკას უნდა მოერგოს და ყველაფერში 100%-იანი მსგავსება თუ არ იქნება, ამაშიც არაფერი პრობლემა არ არის, რადგან ეს გზა გაიარეს სხვა, ახალინტეგრირებულმა ქვეყნებმა და არანაირი განსაკუთრებული წინააღმდეგობები ამ თემებთან არ ყოფილა.

ზოგადად რომ ვთქვათ, იგივე გზა გაიარა ხორვატიამ, პოლონეთმა, ბალტიის ქვეყნებმა, მათი მაგალითი კარგად ვიცით და კარგად მახსოვს, თუ რამხელა ნახტომი ჰქონდათ მათ წინ. მაგალითად, თუ არ ვცდები, პოლონეთს 13 წელი დასჭირდა, 11 წელი ხორვატიას, მაგრამ ამ პერიოდში, ევროკავშირისგან ძალიან ბევრი რამ მიიღეს ინფრასტრუქტურული, სექტორალური პროექტებიდან დაწყებული, განათლებით, კარდიომეცნიერებით, ინოვაციებით დამთავრებული და ასე შემდეგ. ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ, ყველაფერი ერთ დღე-ღამეში არ კეთდება, ამის ილუზია არავის არ აქვს, ბუნებრივია, დრო დასჭირდება ამას. მთავარია, ჩვენ ვიმუშაოთ, ვიშრომოთ, სწორი მიმართულებით სისტემურად განვითარდეს ქვეყანა, რაც თავისთავად, იქნება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის საფუძველი.

## გიგაური შეწყალების საქმეზე — „ეკა ბესელიას შესაძლოა, ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი"



შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალექსანდრე ელისაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვდა. მან სამოქალაქო სექტორს ინფორმაცია მიაწოდა შეწყალების საქმესთან დაკავშირებით, შესაძლო კორუფციული გარიგების შესახებ.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა განაცხადა, მნიშვნელოვანია, დეპუტატ ეკა ბესელიას საპროკურორო საბჭოს წევრობის საკითხი გადაიხედოს.

– მნიშვნელოვანია, რომ მიუკერძოებელი გამოძიება ჩატარდეს ამ საქმესთან დაკავშირებით. ასევე, ჩვენ კითხვის ნიშნებს ვსვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ ქალბატონ ეკა ბესელიას შესაძლოა, ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც ის არის საპროკურორო საბჭოს წევრი. საპროკურორო საბჭოს კი ექვემდებარება და მის წინაშე არის ანგარიშვალდებული, მთავარი პროკურორი.

ნამდვილად ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი გადახედილი უნდა იქნას, პირველ რიგში, მის მიერ და შემდეგ უკვე მთლიანად საპროკურორო საბჭოს მიერ, – განაცხადა გიგაურმა. (news.ge)

## რა ზიანი მიაყენა ცნობილმა დიეტამ მარიამ როინიშვილს? — მომღერალი გოგონებს აფრთხილებს



მომღერალმა მარიამ როინიშვილმა მის მიერ დაცული დიეტის შესახებ „იმედის" ეთერში ისაუბრა.

– მე ვიცავდი ძალიან ცნობილ დიეტას და მქონდა ძალიან ცუდი შედეგები. ერთხელ კონცერტი მქონდა კონსერვატორიაში და ვიდექი სცენაზე, ზუსტად სიმღერის დროს წამივიდა გული... ძლივს მომაბრუნეს. ეს იყო მოხარშული ნიახურის დიეტის მესამე დღე, მერე მივხვდი, რომ ასეთი რამ იყო ჩემი ორგანიზმის დამანგრეველი და გადავწყვიტე, რომ მიმემართა სწორი კვებისთვის. ვურჩევ და ვაფრთხილებ ყველა გოგოს, რომ არ მიმართონ მსგავს დიეტებს, – განაცხადა მარიამ როინიშვილმა. (imedi.ge)

## „ღარიბაშვილის მმართველობის 2 წელი იყო განუვითარებლობის, რეგრესის, ეკონომიკური კრიზისის, ნეპოტიზმის 2 წელი“



სწორ, თუმცა დაგვიანებულ ნაბიჯად აფასებს ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა. კუკავა ამბობს, რომ ღარიბაშვილის მმართველობის პირობებში საქართველომ განვითარების 2 წელი დაკარგა:

– ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი ნაბიჯი, თუმცა დაგვიანებული. საქართველომ დაკარგა თავისი განვითარებისთვის 2 წელი იმიტომ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მმართველობის 2 წელი ეს იყო განუვითარებლობის, რეგრესის, ეკონომიკური კრიზისის, ნეპოტიზმის 2 წელი და რაც მთავარია, ქვეყანაში 1-ლი ოქტომბრის შემდეგ შეიქმნა განწყობა ეროვნული ერთიანობის და ეროვნული თანხმობის და სამწუხაროდ, ირაკლი ღარიბაშვილმა ამ პროცესს ლახვარი ჩასცა და ქვეყანაში დათესა სიძულვილი, სამოქალაქო დაპირისპირება და ის ისე ტოვებს თავის პოსტს, რომ ვერ მოახერხა ვერ ერთ ოპოზიციურ ძალასთან თანამშრომლობა. საზოგადოება გამოაცხადა ზოგი ამერიკის ჯაშუშად, ზოგი მოღალატედ და მუდმივ კონფლიქტში იყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან, რაც ჩვენისთანა მყიფე დემოკრატიის ქვეყანაში არის კიდევ დამატებითი რისკები, – აცხადებს კუკავა. რაც შეეხება მომავალი პრემიერის კანდიდატურას, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის თქმით, მიესალმება გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურას და ამბობს, რომ ის შეძლებს არჩევნებამდე ქვეყნის მშვიდად მიყვანას:

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის მთლიანობაში „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი არის მიუღებელი და მიგვაჩნია, რომ მათ არ შესწევთ ქვეყნის შემდგომი მართვის ძალა, საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ 1 წელიწადში კვირიკაშვილი არის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, რომ ქვეყანა მივიდეს არჩევნებამდე მშვიდად, რევოლუციის და „მაიდანის“ გარეშე.

და ჩვენ, მთელი ოპოზიციური სპექტრი, თუკი კვირიკაშვილის კანდიდატურა დადასტურდა, მას შევთავაზებთ დიალოგს, რათა საქართველოშიც მოვახერხოთ, რომ, ღარიბაშვილი რომ დედას გვაგინებდა, ისე კი არ იყოს ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთობა, არამედ როგორც ეს არის ცივილიზებულ, ევროპულ ქვეყანაში, მოლაპარაკების მაგიდის ირგვლივ. პრემიერ-მინისტრს რეგულარულად უნდა ჰქონდეს მოლაპარაკება ოპოზიციის ლიდერებთან და ისე უნდა წყდებოდეს ქვეყანაში პოლიტიკური საკითხები, – განაცხადა კახა კუკავამ. (პირველი რადიო)

# არა, კაცო, რას ამბობთ, სულაც არ აპირებს ბურჭულაძე პოლიტიკოსობას...











– ადრე ხელისუფლების გვეშინოდა, დღეს კი გვეშინია ხვალინდელი დღის, – ამის შესახებ „საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ სასტუმრო „რადისონში“, ფონდის პრეზენტაციაზე განაცხადა. მან „საქართველოს განვითარების ფონდის“ შექმნის მიზეზებზე ისაუბრა და განმარტა, რომ ეს არის საზოგადოებრივი ინიციატივა და არა პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა.

– „საქართველოს განვითარების ფონდი“ დაფუძნდა იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ, საქართველოში ყველაფერი კარგად არ არის. ჩვენ ვამბობთ, ასე გაგრძელება არ შეიძლება. „საქართველოს განვითარების ფონდი“ დაფუძნდა იმისთვის, რომ დაასრულოს ნეპოტიზმის, არაპროფესიონალიზმის, უპასუხისმგებლობის, გულგრილობისა და შიშის ეპოქა. დიახ, შიშის ეპოქა – ადრე ხელისუფლების გვეშინოდა, დღეს კი გვეშინია ხვალინდელი დღის. „საქართველოს განვითარების ფონდი“ დაფუძნდა იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ადამიანების „ჩემიანებად“ და „სხვისიანებად“ დაყოფა. მე მიმაჩნია, რომ სწორედ დაყოფა იყო მთავარი დამანგრეველი ძალა ბოლო 25 წლის განმავლობაში. ამდენად, ჩვენ არ ვქმნით პოლიტიკურ ორგანიზაციას. „საქართველოს განვითარების ფონდი“ არის საზოგადოებრივი ინიციატივა, რომელიც ჩვენ ყველას საერთო მიზნისა და საერთო იდეალების ირგვლივ გაგვაერთიანებს. ჩვენი ფონდი არის ყველა თავისი საქმის მცოდნე ადამიანისთვის, მიუხედავად იმისა, სად არის ის – სახელმწიფო სამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციაში თუ კერძო ბიზნესში; მიუხედავად იმისა, ვინ არის ის – ქართველი, აფხაზი, ოსი, რუსი, სომეხი, იეზიდი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, ქისტი, ბერძენი და, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, სად ლოცულობს ის, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ბურჭულაძის სურვილია, რომ „საქართველოს განვითარების ფონდის“ ირგვლივ გაერთიანდნენ ახალგაზრდები, ვინაიდან მათი მონაწილეობის გარეშე ქვეყნის წინსვლა წარმოუდგენელია.

– ფონდი შეიქმნა ყველასთვის, ვისაც სურვილი აქვს, მიიღოს მონაწილეობა განვითარებასა და გამარჯვებაში, რადგან საქართველო ყოველი ჩვენგანის საზრუნავია, – დასძინა პაატა ბურჭულაძემ. (ინტერპრესნიუსი)

**კარგი რამე დასძინა პაატა ბურჭულაძემ — ყველასთვის შეიქმნა ფონდი, მოდით, ქვეყანა ავაშენოთო...**

**ასე იწყებდა სააკაშვილიც — ქვეყანას გადავაკვდებით ზედო და ჯიბეები ამოივსეს.**

**ასე იწყებდა „ქართული ოცნებაც“ და თავად კი აიხდინეს ოცნება, ვერაფერს იტყვი.**

**სხვაობა პაატა ბურჭულაძესთან მხოლოდ ის არის, რომ ის პირდაპირ არ ამბობს სათქმელს, დასაწყისშივე გაურკვევლობაში აყენებს საზოგადოებას და თუ ისე მოხდა, რომ პარლამენტში ვიხილეთ, მერე რაღას იტყვის — არა, ბატონებო, „შემოვერჩიე“ ხალხს, თორემ პოლიტიკაში მოსვლა აზრადაც არ გამივლიაო?**

**კაცო, თქვენც გიორგი მარგველაშვილი ხომ არ ხართ, რაც სათქმელია, რაზეც განცხადება უნდა გაკეთდეს, სულ მიჩქმალვას რომ ცდილობს? გამოდით და თქვით — დიახ, პოლიტიკაში მოვდივარ და აგაყვავებთ, აგაშენებთ და ყველას ნოტებზე გამღერებთო. დავიჯერებთ თუ არა, ეგ ჩვენი საქმეა, მაგრამ თქვენზე რაცაა დამოკიდებული, დასაწყისში მაინც იყავით გულწრფელი, თორემ ვინც თავისსას ინაღდებს და პოლიტიკაში ადგილს იმკვიდრებს, მერე იმას ხალხი საერთოდ აღარ აინტერესებს, აბაა?!.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ღარიბაშვილის გადადგომა ივანიშვილის გადაწყვეტილებაა“ — რატომ დასაჯეს ექსპრემიერი



არასაპარლამენტო ოპოზიცია ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას ბიძინა ივანიშვილის თამაშს უწოდებს.

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძის განცხადებით, წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილი მთავრობას ნეგატიური სახეებისგან წმენდს.

კაციტაძე ღარიბაშვილის „გადაყენების“ ერთ-ერთ მიზეზს ლევან მურუსიძის საკითხს უკავშირებს.

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა კი აცხადებს, რომ ღარიბაშვილს მისი პირადი გადაწყვეტილება არ გაუხმოვანებია.

ედპ-ს ლიდერის თქმით, ღარიბაშვილის გადაყენების გადაწყვეტილების ავტორი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ქვეყანას კულუარულად მართავს.

– ფაქტია, რომ ეს გადაწყვეტილება არ მიუღია ირაკლი ღარიბაშვილს, გადაწყვეტილება მიიღო იმ ადამიანმა, რომელიც ამ წლების განმავლობაში მართავდა ქვეყანას – ეს ბიძინა ივანიშვილია, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

ოლიგარქის კვალზე საუბრობს საქართველოს ევროპელი დემოკრატების ლიდერი პაატა დავითაიაც.

მისი შეფასებით, პროცესი მართულია ივანიშვილის მხრიდან.

– ღიად ჩანს, რომ საქართველოში მნიშვნელობა არ აქვს პრემიერის თუ მინისტრის პოსტს, ყველა იქნება მარიონეტი, – აღნიშნა დავითაიამ.

ირაკლი ღარიბაშვილის მოულოდნელი გადადგომა შეაფასა „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა წევრმა – გიორგი ახვლედიანის თქმით, ფიგურა, რომელიც ქვეყანას მართავდა, აღმოჩნდა, რომ არაფერს წარმოადგენდა.

– ის იყო დანიშნული, რომ არაფერს წარმოადგენდა, – განაცხადა ახვლედიანმა.

რაც შეეხება კვირიკაშვილისა და სერგეენკოს კანდიდატურებს, ოპოზიცია ამბობს, რომ ივანიშვილის ძალაუფლების პირობებში ვერც ახალი პრემიერი იქნება დამოუკიდებელი. (ნიუპოსტი)

## 1-ლი იანვრიდან უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს



2016 წლის 1-ლი იანვრიდან უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს. როგორც უკრაინული მედია იტყობინება, ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა უმაღლეს რადაში შესაბამისი კანონპროექტის წარდგენისას განაცხადა.

დეპუტატების გადაწყვეტილებით, მინისტრთა კაბინეტს უფლებამოსილება მიენიჭა, რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო ემბარგო დააწესოს.

არსენი იაცენიუკმა დეპუტატებს შეახსენა, რომ მომავალი წლის 1-ლი იანვრიდან რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას გეგმავს.

– ჩვენ უკრაინის შიდა ბაზარს დავიცავთ, – აღნიშნა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი გახარია მინისტრის პოსტზე მისი კანდიდატურის წარდგენის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს



ეკონომიკური საბჭოს მდივანი, ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია მინისტრის პოსტზე მისი კანდიდატურის შესაძლო დასახელების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა, რომ ის მინისტრთა ახალი კაბინეტის წევრი გახდეს, გიორგი გახარიამ თავდაპირველად განაცხადა, რომ არ იცის, თუმცა განმეორებით შეკითხვაზე აღნიშნა, რომ ამ ინფორმაციას უარყოფს.

გავრცელებული ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრის პოსტს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებს, ამ უკანასკნელს კი ბიზნესომბუდსმენი, ეკონომიკური საბჭოს მდივანი გიორგი გახარია ან „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე შეცვლის. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალ მინისტრთა კაბინეტში აღარ მოხვდებიან განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## რუსული მედია — ღარიბაშვილის გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა ლარის დევალვაციამ და მარგველაშვილთან კონფლიქტურმა ურთიერთობამ



ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით შეფასებები რუსეთშიც გაკეთდა. სააგენტო **РБК**-სთან საუბარში რუსი ექსპერტი დენის დვორნიკოვი აცხადებს, რომ მმართველმა პარტიამ საკუთარი პირობა შეასრულა ამომრჩევლის წინაშე, რომელსაც საშუალება მიეცა, ევროპის ქვეყნებში უვიზოდ იმოგზაუროს. პარალელურად სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთმაც გაამარტივა.

– ამ პირობებში პრემიერის გადადგომა – მმართველი ელიტის შეთანხმებული გადაწყვეტილებაა. ქვეყანა ახალ დონეზე გადის და ამისთვის უფრო მეტი გამოცდილების მქონე მმართველია საჭირო, – აცხადებს დვორნიკოვი. მისი მოსაზრებით, ღარიბაშვილთან მიმართებაში რაიმე სერიოზული პრეტენზია არ არსებობს, თუმცა ამჟამად ვითარება სამხრეთ კავკასიასა და მთელ მსოფლიოში არასტაბილურია, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

გამოცემა **ВЗГЛЯД**-თან საუბარში პოლიტოლოგი ნიკოლაი სილაევი აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკის კუთხით ეს იყო საქართველოს ყველაზე წარმატებული მთავრობა.

– არ ვიცი, უკავშირდება თუ არა ეს ირაკლი ღარიბაშვილის ან მმართველი კოალიციის არაფორმალური ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებებს, მაგრამ პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისსა და მოსკოვს შორის ყოველთვიური სკანდალები აღარ ხდება, – ამბობს პოლიტოლოგი.

გამოცემა **Московский Комсомолец**-თან საუბარში კიდევ ერთი რუსი ექსპერტი ვლადიმერ ნოვიკოვი ღარიბაშვილის გადადგომას „შიდაქართულ კოლიზიას“ უწოდებს.

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ლარის დევალვაციამ და პრეზიდენტ მარგველაშვილთან კონფლიქტურმა ურთიერთობამ, რაც მმართველი კოალიციის რეიტინგზე აისახა. ჟურნალისტის კითხვაზე, არის თუ არა ივანიშვილი პრორუსი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, ექსპერტი ნოვიკოვი აცხადებს, რომ რუსეთში მუშაობის პერიოდშიც კი, ივანიშვილი ყოველთვის იყო ჯერ ქართველი და შემდეგ რუსეთის მოქალაქე და რუსი ბიზნესმენი.

– უდავოა, რომ ის საკუთარ თავს ქართველ პოლიტიკოსად მიიჩნევს. ამიტომ რუსეთისადმი მის ლოიალობაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა, – აცხადებს ნოვიკოვი და იქვე დასძენს, რომ ივანიშვილი კვლავ რჩება ევროინტეგრაციის მომხრედ. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# პრემიერის გადადგომა ორ „ჩაგდებულ“ კანონს უკავშირდება?




დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


**„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორი ზვიად ტომარაძე ღარიბაშვილის გადადგომას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და განაცხადა:**

**„პრემიერს არ ეპატია განათლების სამინისტროს ახალი საგნის „მე და საზოგადოება“ და ანტისახელმწიფოებრივი მიწის კანონის „ჩაგდება“ (ამისთვის მადლობა ბ-ნ ირაკლის!). ასევე, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ, როდესაც მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე პატრიარქს გამოესარჩლა და ირაკლი ვაჭარაძეს დაუპირისპირდა, ერთ—ერთმა საელჩომ წერილობით მიმართა პრემიერს და მისი პოსტიდან განთავისუფლება მოსთხოვა!!! ირაკლი ღარიბაშვილისგან კი ცივი უარი მიიღო!**

**მოკლედ, დაველოდოთ, ერთ კვირაში ბევრი რამ გაირკვევა...“**

**კონკრეტულად ვისგან რა არ ეპატია ყოფილ პრემიერს? რომელმა საელჩომ მიმართა, ღარიბაშვილს ბრეგაძის გადასაყენებლად?**

**„ალიას“ ზვიად ტომარაძე ესაუბრა:**

**— ზვიად, თქვენ წერთ, რომ პრემიერს არ ეპატია განათლების სამინისტროს ახალი საგნის „მე და საზოგადოება“ და ანტისახელმწიფოებრივი მიწის კანონის „ჩაგდება“. რას ან ვის გულისხმობთ? კონკრეტულად ვისგან რა არ ეპატია ყოფილ პრემიერს?**

– პრემიერ-მინისტრის სასწრაფო წესით გადადგომა, თან გადადგომის მიზეზის განმარტების გარეშე, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. ჩემი აზრით, პრემიერს სწორედ ახალი საგნის და მიწის კანონის „ჩაგდება“ არ ეპატია. საუბრობენ, რომ ეს ყველაფერი მომავალ არჩევნებს უკავშირდება, მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა, რა საჭირო იყო ასე ნაუცბადევად, მიზეზების დასახელების გარეშე ახალ წლამდე ერთი კვირით ადრე გადადგომა? ან პრემიერის პოსტზე მისი გადადგომით რა იცვლება საარჩევნო მზადების კუთხით? ჩვენ დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ვართ, ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ხოლო 80% – მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. არ აპატიეს იმ ძალებმა, ვინც თინათინ ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დანიშნა და ვინც სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დანიშნა. დაკონკრეტება არაა საჭირო, ყველასთვის გასაგებია ისედაც ვის ვგულისხმობ. ოფიციალურად გვმართავენ, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ვართ.

ეს ორივე პროექტი ვერ გამოვიდოდა ისე, მათ რომ უნდოდათ, რადგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდებოდა საზოგადოების მხრიდან. „ქართული მიწის დაცვის“ კომიტეტის წევრებმა – მე, სოსო მანჯავიძემ და დიმიტრი ლორთქიფანიძემ ოფიციალური წერილით მივმართეთ და ვთხოვეთ ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ გაუქმება. მიმართვიდან რამდენიმე დღეში განათლების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ საკითხი გადაიდო. რაც შეეხება კანონპროექტს მიწის შესახებ, მე და ბატონი სოსო მანჯავიძე შევხდით ბატონ ზურაბ ტყემალაძეს. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ტყემალაძის კომიტეტმა ალტერნატიული კანონპროექტი წარმოადგინა, სადაც ყველა ჩვენი მოთხოვნა ასახული იყო. ჩვენი ინფორმაციით, ამ საკითხში პრემიერი ჩვენს პოზიციას იზიარებდა. ცხადია, ეს პროექტები ღარიბაშვილის მიერ მოწონებული რომ ყოფილიყო, „გადადგომა“, ალბათ, აღარ მოუწევდა.

**— როდესაც სანდრო ბრეგაძე პატრიარქს გამოესარჩლა და ირაკლი ვაჭარაძეს დაუპირისპირდა, ერთ-ერთმა საელჩომ წერილობით მიმართა პრემიერს და მისი პოსტიდან განთავისუფლება მოსთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღოო, წერთ. რომელი საელჩო იყო?**

– მკითხველთა უმრავლესობას არ გაუჭირდება ამ საელჩოს გამოცნობა, რადგან ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ერთი საელჩოა, რომელსაც იმდენად მაღალი ავტორიტეტი აქვს, რომ მაღალი თანამდებობის პირთა მოხსნადანიშვნაშიც კი იღებს მონაწილეობას. დიახ, სწორედ ის საელჩო იყო, რომელმაც 1%-იან „რესპუბლიკურ პარტიას“ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები ჩამოურიგა...

**— ერთ კვირაში ბევრი რამის გარკვევას ელით. კონკრეტულად რა იგულისხმეთ?**

– პირველ რიგში, ვგულისხმობ იმას, რომ, თუ მომავალი პრემიერი ბატონი გიორგი კვირიკაშვილი იქნება, მაშინ ჩავთვალოთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადაყენება მხოლოდ მისი „დასჯა“ იყო. ხოლო თუ პრემიერის პოსტზე ვინმე ლიბერალური იდეოლოგიის პიროვნება წარადგინეს, მაშინ საქმე უფრო რთულად იქნება, რადგან მათ არ აწყობდათ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის დამცველი ღარიბაშვილი და სამომავლოდ მრავალი ულტრალიბერალური მავნებლობა აქვთ განსახორციელებელი. ერთი დეტალი გავიხსენოთ ღარიბაშვილის გამოსვლიდან: „თანამდებობები წარმავალია, უფალი და სამშობლო კი – მარადიულიო“. ამით მან ირიბად მიგვანიშნა, რომ მისი პრემიერობა ქვეყნისა და ეკლესიის ინტერესების დაცვას შეეწირა. ასევე, ყურადღებამისაქცევია, რომ მან განცხადება სამების ტაძრის ფონზე გააკეთა.



## ტორნადოების სერია აშშ-ში — მსხვერპლთა შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია



აშშ-ის სამხრეთში, სტიქიური უბედურების შედეგად სულ მცირე 4 ადამიანი დაიღუპა, დაშავებულია 40-მდე ადამიანი.

ერთი ადამიანი დაიღუპა ბენტონში, მისისიპის შტატში. იმავე შტატის ქალაქ ჰოლისპრინგში 2 ადამიანის ცხედარი იპოვეს, მათ შორის ერთი 7 წლის ბავშვია.

არკანზასის შტატში კი 18 წლის გოგონა მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მის სახლს ხე დაეცა, რამაც კედლის ჩამონგრევა გამოიწვია.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, აიოვას, მისისიპისა და თენესის შტატებში, სულ მცირე, 21 ტორნადო და ქარიშხალი დაფიქსირდა. (ნიუპოსტი)

## სოსო პავლიაშვილი — რუსეთი და საქართველო ერთად უნდა იყვნენ



– მე ვარ ადამიანი, რომელიც ჭიპლარით საქართველოსთან არის დაკავშირებული, ხოლო ჩემი გული რუსეთში ძგერს, – ამის შესახებ კომპოზიტორმა და მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების კომენტირებისას „მირ-24“-თან ინტერვიუში განაცხადა.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ხალხი დაიღალა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობით. არსებობს მესამე ძალა, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ყველანაირად ცდილობს, ერთმანეთს გადაჰკიდოს რუსეთი და მისი მეზობლები, ძირითადად, მართლმადიდებლური ქვეყნები. რუსეთი ყოველთვის იყო საქართველოს მეგობარი და მხარდამჭერი. დღეს, როდესაც ასეთი მძიმე ვითარებაა – სანქციები, ჩამოგდებული თვითმფრინავი, ეს წყევლას ჰგავს, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა უნდა გაგვაერთიანოს, – ამბობს პავლიაშვილი.

მომღერალი, ასევე, აცხადებს, რომ მას არ სურს, მომავალ თაობებს შორის ისეთი დამოკიდებულება იყოს, როგორიც დღეს საქართველოსა და რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას შორის არსებობს. (kvira.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## სუნამო პუტინის სურნელით




ცოტა ხანში, ალბათ, ქაღალდის ფულზეც ვიხილავთ პუტუნის თავს. ამ ეტაპზე კი მაისურებზე, მობილურის „ქეისებზე" და პირსახოცებზეა გამოსახული. ეს რაც მასობრივად არის და რაც უკვე იყიდება და ინდივიდუალურად შესაძლებელია პუტინის თავის ჭიქაზე, თეფშზე ან სულაც გულის ფიცარზე მოხატვა.

ამჯერად მამაკაცის პარფიუმერიაში ცდილობს ფეხის მოკიდებას, ამიტომაც „ლეადერს ნუმბერს ონეს"-თვის ვლად რეკუნოვმა სპეციალური არომატი შექმნა. ასეთი საპასუხისმგებლო საქმის შესასრულებლად თურმე ერთი წელი საფრანგეთში იყო და სუნამოების სპეციფიკას სწავლობდა. ფლაკონი იტალიელმა დიზაინერმა შექმნა – შავ მინაზე პლატინის თხელი ფენაა მიკრული, რომელზეც ნაცნობი თავის ნაცნობი სილუეტია გამოსახული.

პირველივე დღეს 100-ზე მეტი ფლაკონი გაიყიდა. ფასი 6 ათასი რუბლია.

ლიმონი, ბერგამოტი და შავი მოცხარი. თავიდან მცირე სურნელს გრძნობ, მერე სურნელი იშლება და ცხვირწინ კედარისა და ნაძვის ბალზამის სუნი ტრიალებს, შემდეგ უკვე ცოტა მუშკიც და სურნელი, სახელად პუტინი თქვენს ცხვირშია.

თურმე ნუ იტყვით და ეს სურნელი ქალებს უფრო იზიდავთ. ამიტომაც იგეგმება ქალებისთვის ალტერნატიული ვარიანტის შექმნა.

შეკვეთები უკვე არის ჩინეთიდან და გერმანიიდან. ფოსტით შესაძლებელია სუნამოს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მირთმევა.

თავად ვლადიმერ პუტინისთვისაც იგეგმება მისივე სუნამოს მირთმევა.

**msk.kp.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გინდ გეწყინოთ, გინდ გეტკინოთ და ჭკვიანი მამაკაცები პარტნიორებს არ ღალატობენო



მუდმივი კითხვა: რატომ ღალატობენ მამაკაცები? უამრავი ფსიქოლოგი ცდილობს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი დასკვნა გამოიტანეს – თავის პარტნიორს, მხოლოდ ინტელექტუალურად განუვითარებელი მამაკაცი ღალატობს! ასეთ დასკვნამდე ლონდონის ეკონომიკის უნივერსიტეტის სპეციალისტები მივიდნენ.

მათი აზრით, თანამედროვე ცხოვრებაში, მამაკაცის პოლიგამიური ბუნება მონოგამიურად იცვლება. ასეთ წესებს ევოლუცია გვკარნახობს: ერთ ქალთან ინტიმური ურთიერთობები მამაკაცებს სტრესს ხსნის, ასევე, ათავისუფლებს ახალი პარტნიორის ძებნისთვის ზედმეტი ენერგიის დახარჯვისგან.

მეცნიერებმა დაამატეს, რომ მხოლოდ მაღალინტელექტუალურ მამაკაცებს შეუძლიათ ერთგულები იყვნენ, რადგანაც მათი ტვინი გასცემს ბრძანებას: ასე უფრო მარტივია. თანამედროვე ცხოვრების სტრესულ პირობებში – მონოგამია ურთიერთობაში ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტია.

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დავასკოს ლოდი



ბუენოს-აირესის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქ ტანდილში, უსაზღვროდ უცნაური ლოდის ნახვა შეიძლება, რომელიც თავისი გასაოცარი მდებარეობის გამო ფიზიკის არაერთ კანონს ეჭვქვეშ აყენებს.

საუბარია უზარმაზარ ლოდზე, რომლის წონაც თითქმის 300 ტონაა და რომელიც კლდის უკიდურეს ნაწილში უფსკრულს გადაჰყურებს.

გასაოცარია, რომ ლოდმა ამ ადგილას რამდენიმე ათასწლეული დაჰყო და უამრავი რიგითი ადამიანი თუ მეცნიერი გააკვირვა.

ლეგენდას თუ დავუჯერებთ, რომლის მოყოლაც ტანდილას მკვიდრებს უყვართ ხოლმე, პირველი ადამიანები ამ ადგილებში უხსოვარ დროში მზის ვაჟის დავასკოს წყალობით გამოჩნდნენ. სწორედ მან მიიყვანა იქ პირველი მოსახლეები, ასწავლა მიწათმოქმედება და ცხოველების მოშინაურება, თუმცა ცოტა ხანში მოკვდავები დატოვა და პირობა მისცა, რომ ოდესმე აუცილებლად დაბრუნდებოდა.

იმისთვის, რათა ადამიანებს მზის ძე არ დავიწყებოდათ, მან კლდის ქიმზე უზარმაზარი ლოდი დატოვა. ტანდილას მკვიდრებს დღემდე სჯერათ, რომ ლოდს სწორედ დავასკო აძლევდა ძალას, რომ უფსკრულში არ გადაჩეხილიყო...

მოგეხსენებათ, სამწუხაროდ, მუდმივი არაფერია და 1912 წელს გასაოცარი ლოდი ადგილს მოსწყდა. არსებობს რამდენიმე ვერსია, რამაც ეს ფაქტი გამოიწვია – ლოდი ადგილობრივ შახტებში განხორციელებულმა აფეთქებებმა დააზიანა. მეორე ვერსიით, მას ბოლო ეროზიამ მოუღო.

გავიდა დრო და ადგილობრივებმა ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობის აღდგენა გადაწყვიტეს, თუმცა მხოლოდ ის შეძლეს, რომ კლდეზე ლოდის ასლი დადგეს, რომელიც პლასტმასისგანაა დამზადებული.

**mandalay.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ტრავმის გამო ბიჭმა უარყოფითი ემოციის უნარი დაკარგა



პრობლემებითა და უსიამოვნებებით დაღლილს ყველას გვიფიქრია, რა იქნება სხვადასხვა უბედურებები რომ არ ხდებოდეს, რა იქნება, რომ ყველაფერი ძალიან კარგად იყოს და ჩვენც სულ ვიცინოთ.

ალბათ, პრობლემებით იყო 20 წლის ახალგაზრდა, სემუელ ბიშოპიც დაღლილი, რომელმაც თვითმკვლელობა გადაწყვიტა და სიკვდილამდე 2 საათით ადრე მიუსწრეს.

სემულემა ტვინის სერიოზული დაზიანება მიიღო და უგონო მდგომარეობაში იყო. ექიმები ამბობდნენ, რომ, თუ საერთოდ გონზე მოვიდა, ველარც სიარულს შეძლებს და ველარ საუბარსო, მაგრამ პაციენტმა ექიმების გაოცება შეძლო და მოგვიანებით სრულიად გამოჯანმრთელდა.

აღუდგენელი ტვინის მხოლოდ ის ნაწილი დარჩა, რომელიც ნეგატიურ ინფორმაციაზე რეაგირებს. ამის გამო, სემუელს აღარ შეუძლია წუხილის, სევდისა და მსგავსი უარყოფითი ემოციების განცდა. ექიმების თქმით, ტვინის ტრავმის შემდეგ შეუძლებელია, იწინასწარმეტყველო, რა მოუვა ადამიანს, რა ზიანი მიადგება და რამდენად შეძლებს პიროვნების სრულად აღდგენას.





ამ ტრავმის წყალობით ბიჭს დაავიწყდა, რას ნიშნავს მონატრება. ნეგატიურმა ემოციებმა მიიყვანეს თვითმკვლელობის მცდელობამდე და ახლა სრულად განთავისუფლებულია მსგავსი ემოციისგან. სამაგიეროდ, ახლა მუდამ იღიმის, იღიმის ყველაფერზე, რასაც ხედავს და ესმის, მაშინაც კი, როცა სხვები სერიოზულ თემაზე მსჯელობენ.

მას არ შეუძლია ამ ღიმილ-სიცილის კონტროლი. ექიმების თქმით, საეჭვოა, რომ სამუელმა საკუთარ ემოციებზე კონტროლი სრულად დაიბრუნოს, მაგრამ შესაძლოა, ასე უკეთესიც იყო, ვინაიდან ახლა ცუდზე აღარ ფიქრობს და მასში ყველაფერი დადებით ემოციას იწვევს.

აი, ასეთია მუდმივი კეთილდღეობა, მკითხველო. წუხილით დაღლილს თქვენც ხომ არ გიოცნებიათ დაუსრულებელ ბედნიერებაზე?

**glunews.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## აშშ-ში 3000-ზე მეტი პატიმარი შეცდომით გაათავისუფლეს



გავრცელებული ინფორმაციით, ანგარიშში შეცდომა მოუვიდათ იმ ორგანოებს, რომლებიც პატიმართა „სამაგალითო ქცევის" გამო ვადამდელი განთავისუფლებით არიან დაკავებული, რის შედეგადაც ბოლო წლების განმავლობაში 3000-ზე მეტმა პატიმარმა კანონით განკუთვნილ ვადაზე ადრე დატოვა საპატიმრო....როგორც ამერიკული მედია იუწყება, პოლიცია ახლა ამ პატიმრების მოძებნას და დაბრუნებას ცდილობს, თუმცა აქამდე მხოლოდ 7 მათგანის მოძებნა მოხერხდა.

კაცი ვერ გაიგებს, სადაა სამართალი. ზოგი უსამართლოდ დაკავებას ასაჩივრებს და ზოგი უსამართლოდ განთავისუფლებას. რომელ პატიმარს ჰგონია თავი დამნაშავე, რომ შანსი არ გამოიყენოს და შეცდომით განთავისუფლებული სამუდამოდ არ გადაიხვეწოს? მხოლოდ 7 მათგანი მოძებნესო, 7 კი არა, საერთოდ 1-ის კვალსაც რომ მიაგნეს არ უკვირთ?

**timer.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ცოლმა ქმარს ყური ლუდის გამო მოაჭამა



„ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონაო", ნათქვამია, მაგრამ ერთმანეთს რომ დანებს ესვრიან და ყურებს მოაჭამენ, მოდი და ნუ გაგიკვირდება!..

ამერიკაში, კერძოდ კი მინესოტას შტატის ქალაქ სენტ-კლაუდში ცოლ-ქმარს ერთი შეხედვით უწყინარ თემაზე მოუვიდათ კამათი. განხეთქილების ვაშლად ქცეული ლუდი მხოლოდ ერთი ჭიქა იყო დარჩენილი და არც ერთს არც ერთი გრამის დათმობა არ სურდა. უნდოდათ ბოლომდე მიესაკუთრებინათ. სიტყვიერი გარჩევის შემდეგ კაცმა ზურგი აქცია და ოთახისკენ წავიდა, ცოლმა, ვისაა, იგნორს რომ უკეთებ და ჩირად არ აგდებო, ადგა და ყური მოაჭამა.

ადგილზე მისულ პოლიციას სისხლით მოსვრილი ავეჯი და მოჭმული ყურის ნაწილი დახვდათ.

თავიდან ყურებზე ხახვდაჭრილი ქმარი არ ამხელდა ნამდვილ მიზეზს და ამბობდა, რომ უცნობ კაცებთან მოუწია ჩხუბი. მოგვიანებით იძულებული გახდა, სიმართლე ელიარებინა.

პოლიციამ სცადა კანიბალი ცოლის, ჯეიმი ელორდის დაკითხვა, მაგრამ ის ალკოჰოლისგან უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. არც არაფერი ახსოვდა და ვერც ვერაფერს ამბობდა. ადგილობრივ ციხეში გადაიყვანეს და ქმართან ჭარბი სიახლოვის გამო, სავარაუდოდ, ჯარიმას გადახდევინებენ.

**etotupo.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ფლორიდაში ქურდს სახლის ძარცვის დროს ჩაეძინა



ყველაფერს შნო და უნარი სჭირდება. ცოტა იღბალიც და ცოტა ჯანზე ყოფნაც.

ფლორიდაში ერთ მზიან დილით კაცმა სასტუმრო ოთახში დივანზე წამოწოლილი და უშფოთველად მძინარი 29 წლის ტიმოტი ბონტრაგერა ნახა.

თავიდან მასპინძელს ეჩოთირა მძინარე, ციდან მოფრენილი სტუმრის გაღვიძება, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია, გააღვიძა და ძალიან მოკრძალებული კითხვა დაუსვა – რას აკეთებდა მის სახლში.

ტიმოტი ცოტა დაიბნა, ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, უცებ გაახსენდა, რაც უნდოდა ამ სახლში, საფულეს, საკრედიტო ბარათებსა და მართვის მოწმობას ხელი დაავლო და გაქცევა სცადა.

მასპინძელმა ურჩი სტუმარი არ გაუშვა, პოლიციას დაურეკა და მის სახლში მყოფი უნიათო ქურდის შესახებ აუწყა.

პოლიციამაც წააბრძანა, სადაც საჭირო იყო და საქმე ყაჩაღობის ბრალდებით აღძრა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რომანტიკული ურთიერთობა მეგობრებთან ურთიერთობას აფუჭებს?



თუ მეგობრები გეუბნებიან, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის შემდეგ შეიცვალეთ, ესე იგი ეს ასეც არის და არ ღირს მათთან კამათი და საწინააღმდეგოს მტკიცება.

მარტოხელა მოზარდები, რომლებიც პაემანზე იწყებენ სიარულს, დროთა განმავლობაში თავიანთ შეყვარებულებს ემსგავსებიან. ადრე კი, მათი ქცევა არაფრით განსხვავდებოდა თანატოლების ქცევისგან, ნუ, ყოველ შემთხვევაში ალკოჰოლთან მიმართებაში მაინც ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ.

„ბევრ მოზარდს აწუხებს ის ფაქტი, რომ მათი მეგობრები ახალ გამოჩენილმა ადამიანებმა შეცვალეს. კვლევამ გვაჩვენა, რომ თანატოლებს მოზარდობის ასაკში შეუძლიათ სოციალური გარემოს ცვლილება და ერთმანეთის გარემოზე ზემოქმედება“, – აღნიშნავს კვლევის ავტორი ბრეტ ლოურსენი.

მანამ, სანამ მოზარდებს სიყვარულის ან მოწონების ობიექტები გამოუჩნდებათ, მეგობარი ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან ადამიანად მიაჩნიათ. ეს ბალანსი კი შეყვარებულთან ურთიერთობის შემდეგ ირღვევა. მნიშვნელობის თვალსაზრისით პირადი ცხოვრება პირველ ადგილზე გადმოდის და იცვლება მათი ქცევაც – მეგობრებთან ერთად გართობა ნაკლებ ინტერესს იწვევს.

რომანტიკა თავის წესებს კარნახობს. შეყვარებული ადამიანისთვის მეგობარი უკვე აღარ არის ალკოჰოლთან ურთიერთობის მაგალითი... პრინციპში აღარც ცხოვრების სხვა ასპექტებში.

მოკლედ, შეყვარებული ადამიანის მეგობრებო, ბედნიერება უსურვეთ მეგობარს და საკუთარ პირად ბედნიერებაზე ზრუნვა დაიწყეთ.

*glunews.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## TOP 3 ზოდიაქოს ნიშანი, რომლებსაც რამდენიმე ქორწინება ელოდებათ



**ვერძისთვის** ერთი ან ორი ქორწინება წარმოუდგენელია. ისინი თავისუფლად შეიძლება ავიდნენ სამზე და ოთხზეც კი.

ისინი ფიქრობენ, რომ სანამ ქორწინებაში თავს კომფორტულად არ იგრძნობენ, მანამდე შეუძლიათ, სცადონ ბედი. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერძს თუ პირველივე მეორე ნახევარში გაუმართლა, გულში ღალატსაც არ გაივლებს.

**კირჩხიბი**

უბრალოდ, ბეზრდებათ პარტნიორი და გადაწყვეტენ ხოლმე, რაღაც შეცვალონ ცხოვრებაში. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც შეუძლიათ, უპრობლემოდ დაანგრიონ ოჯახი. მაშინვე არ დაოჯახდებიან, თუმცა პარტნიორს აუცილებლად გაიჩენენ და სიბერეში მარტო დარჩენის შიშით ოჯახსაც აუცილებლად შექმნიან.

**მორიელი**

განქორწინებაზე არ გიჟდებიან, მაგრამ ხშირად იძულებულები არიან, რადგან მათი ატანა ძალიან რთული ხდება მეორე ნახევრისთვის. მარტოობაც არ შეუძლიათ, აუცილებლად ვინმე უნდა დაგესლონ, ამისთვის კი ხელმეორედ ოჯახის შექმნა საჭირო ხდება.

*etanews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ნიშნობის ბეჭდის ნაცვლად, პატარძალს სიბრძნის კბილი მიართვეს



თუ პარტნიორები თავს არაჩვეულებრივ წყვილობაზე დებენ, საჩუქრებიც ჯერ არნახული უნდა გაუკეთონ ერთმანეთს.

კალიფორნიაში ერთ-ერთმა ახალგაზრდამ საცოლეს საქორწილოდ თავისი სიბრძნისკბილიანი ბეჭედი აჩუქა.

ლუკას ანგერი და კარლ ლეიფკესი ჰელოუინის დღესასწაულზე დაინიშნენ, როგორც ამ უჩვეულო დღესასწაულს შეჰფერის ისეთი ნიშნობაც გამოვიდა.

პატარძალი ამ „ძვირფასთვლიანი“ ბეჭდით ისეთი აღფრთოვანებული იყო, ხელიდან აღარ იშორებდა.

„ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ტრადიციული წყვილი და ახლა რატომ უნდა შევიცვალოთ? როცა ბეჭედზე ვსაუბრობდით, ვუთხარი, რომ ძვირფასი თვლები არ მიყვარს იმიტომ, რომ ძალიან ძვირი ღირს. ჩემი ქვა ბრილიანტია, მაგრამ ბრილიანტი არ მჭირდება იმისთვის, რომ ადამიანის ჩემდამი სიყვარულში დავრწმუნდე. ლუკასი ასეც მოიქცა, როცა კანადიდან აქ ჩამოვიდა. მე მსოფლიოში ყველაზე დასამახსოვრებელი და ორიგინალური საჩუქარი მივიღე“, – განაცხადა აღტაცებულმა კარლიმ.

შეყვარებულებმა როცა კანადაში, ერთ-ერთ მუსიკალურ ფესტივალზე ერთმანეთი გაიცნეს, მაშინ შეარჩიეს ბეჭდის დიზაინი. ლუკასის მამა კი ძალიან წინდახედული აღმოჩნდა და ჯერ კიდევ ყრმობაში ამოცლილი შვილის სიბრძნის კბილი შეინახა. როგორც ჩანს, ბავშვს თავიდანვე ეტყობოდა, რა ფანტაზიის პატრონიც იზრდებოდა და იყოს, იქნებ რაში დასჭირდესო. ჰოდა, აკი გამოადგა კიდეც.

„მე ახლა თითით მომავალი ქმრის სიბრძნეს ვატარებს“, – სიამაყით ამბობდა დანიშნული.

*glunews.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჩინელმა გოგონამ კომპიუტერულ კლუბში იმშობიარა და თამაში გააგრძელა

ამდენი ტყუილად კი არ იწერება კომპიუტერული თამაშების მავნებლობის შესახებ. ამ 21-ე საუკუნის სენის გადამკიდე ჩინელი გოგო ვერც მიხვდა, ისე დაეწყო მშობიარობა.

თავისთვის იჯდა და თამაშობდა. მოგვიანებით, როცა მიხვდა, რომ ბავშვს ვერანაირი ძალა მუცელში ველარ დააკავებდა, ტუალეტში გავიდა, იმშობიარა და დარბაზს ბავშვით ხელში დაუბრუნდა.



თანამშრომლებმა სასწრაფო გამოიძახეს და თვითმომსახურების რეჟიმში მყოფი ახალბედა დედა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თურმე სწორედ იმ დღეს ოჯახთან უკმაყოფილება მოუვიდა და სახლიდან წამოვიდა. „სასტუმროში კი ვაპირებდი ღამის გათევას, მაგრამ გამქურდეს და მხოლოდ კომპიუტერული თამაშებისთვისღა დამრჩა თანხაო“, – ჩიოდა ჩინელი გოგონა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ბებიამ შვილიშვილი „ფეისბუკზე“ არ დაიმატა და... გაილახა



შენი ბებიობისა და გულწრფელი სიყვარულის როგორ ვირწმუნო, როცა „ფეისბუკზე“ მეგობრებში არ მამატებო. მსგავსი ბრალდებით ფლორიდაში 27 წლის რეიჩელ ჰეისი თავის 72 წლის ბებიას სახლში მიუვარდა და ცემა დაუწყო.

საბედნიეროდ, სანამ ბებიას რამე სერიოზულ დაზიანებას მიაყენებდა ოპერატიული პოლიცია მივიდა და მოხუცი მოძალადე შვილიშვილისგან იხსნა.

თურმე რეიჩელისთვის განყოფილება უცხო არ ყოფილა, ადრეც ყოფილა დაკავებული. ამჯერად 10 000 დოლარის საფასურად დაუბრუნეს თავისუფლება და უცნობია, რად დაუჯდება რეიჩელს მესამე შეცოდება.

ბებიამ კიდევ განაცხადა, არ მომეწონა, ბატონო, საკუთარ თავს როგორც წარადგენდა „ფეისბუკზეო“, ამისთვის დავსაჯე და იმიტომაც არ დავიმატეო. ჩემს ფრენდლისტს მე თვითონ შევადგენ და ვერავინ მაიძულებს დამატებას, თუ თავად არ მინდაო, მააშ.

*anekdot-dnya.ru*



– ჩემი ცოლი ჩემი მარჯვენა ხელია!

– ეჰ, მეც დასაოჯახებელი ვარ...

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, დღეს სტუმრები გვეწვევიან და რამე მოამზადე, კარგი?

– კაი, საყვარელო. შენ ის მითხარი, როგორ მოვამზადო – კიდევ რომ მოვიდნენ ხოლმე თუ აღარასოდეს?

*****



– კოტე, ნახევარი ლიტრი არყის დალევის შემდეგ მუშაობას შეძლებ?

– აბა, რა!

– და ერთი ლიტრის შემდეგ?

– კი, ერთი ლიტრის შემდეგაც!

– ორი ლიტრი რომ დალიო, მაინც?

– არა, მუშაობას ვერა, მარა ხელმძღვანელობას – უპრობლემოდ!

*****

ცოლი ქმარს:

– გამარჯობა, ჩემო ფისუნი!

– ძალიან ნაზად მექცევი და ვლიზიანდები!

– ზდაროვა, ახვარო!

*****

გასაუბრებაზე ფირმის დირექტორი მომავალ მდივანს ეკითხება:

– იაპონურ ენას ფლობთ?

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს ხომ ჩემს რეზიუმეშიც მიწერია.

– ?!

– მკერდის ზომის შემდგომ გრაფაში.

– ააა... ჰო, მეტი აღარ წამიკითხავს და...

*****

მამაკაცი ქალის მოხიბვლას ცდილობს:

– ჩემთვის მთავარი მხოლოდ თქვენი გულის მონადირებაა!!!

– უი, რა სამწუხაროა, მე კი უკვე გახდილი ვიყავი...

*****



ცირკი. კონფერანსიე:

– ახლა კი ჩვენი გაწვრთნილი სპილო გამოვა და მე-13 რიგს მიაფსამს! ... ბატონებო! ბატონებო! ნუ დგებით! სპილომ თვლა კარგად იცის!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



## ლეკვმა იარაღიდან გასროლა და თავის გადარჩენა მოახერხა

„ავს ნუ იზამ და ავისაც ნუ შეგეშინდებაო“, ჭკვიანი ხალხის ნათქვამია ეს, ჰაერიდან მოწყვეტილი უბრალო სიტყვები კი არა და სიმართლით რომ არის გაჯერებული, ახლავე დაგიმტკიცებთ.

თურმე, 37 წლის ფლორიდელმა ჯერი ბრედფორდმა 3 თვის ლეკვების დახოცვა გადაწყვიტა, ჩაიკრა ყველა გულში და ისეთი ადგილის ძებნას შეუდგა, სადაც ბავშვები არ იქნებოდნენ.

როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ლეკვმა საფრთხის მოახლოება თუ იგრძნო, ფართხალი დაიწყო და შემთხვევით, თავისი პატარა თათი იარაღს გამოსდო.

საბედნიეროდ, ჯერი ბრედფორდი მხოლოდ ხელში დაიჭრა და შესაბამისად, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ შექმნია, თუმცა რაც მთავარია, ამერიკელმა ლეკვების დახოცვა გადაიფიქრა და მათი გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.

*utro.ru*

## დეპრესია იმუნიტეტის დამხმარეა?



არ არის გამორიცხული, დეპრესიას იმუნიტეტის მაშველის ფუნქცია ეკისრებოდეს. კერძოდ, ავადმყოფობის დროს ჩვენი ქცევები იმგვარად იცვლება, რომ იმუნიტეტმა ინფექციასთან უკეთ გამკლავება შეძლოს.

ამერიკელების სტატისტიკის თანახმად, დაახლოებით ყოველი მეათე ზრდასრული ადამიანი დეპრესიისგან იტანჯება. მასში რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა რაიმე სასიამოვნო, მაგრამ ასეთი მასშტაბებით გავრცელება მეცნიერებს აფიქრებინებთ, რომ დეპრესიას შესაძლოა, თავისი პლუსებიც ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ტვინში ის ასე ძლიერ არ იქნებოდა ჩაბეჭდილი.

აღნიშნულ მოსაზრებას ამერიკელი ფსიქიატრები ემხრობიან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ევოლუციისას დეპრესია და ინფექციებზე იმუნიტეტის პასუხი ფეხდაფეხ მოდიოდნენ.

ენდრიუ მილერი და ჩარლზ რეიზონი განმარტავენ, რომ დეპრესიისკენ მიდრეკილების მუტაცია, ხშირად არა მხოლოდ ფსიქონევროლოგიურ მდგომარეობაზე მოქმედებს, არამედ გავლენას იმუნიტეტზეც ახდენს.

მათი საკმაოდ თამამი მოსაზრების თანახმად, არ არის გამორიცხული, დეპრესია წარმოქმნილიყო, როგორც იმუნური სისტემის ევოლუციის გვერდითი ეფექტი, თუმცა ამასთან ერთად, ინფექციებთან ბრძოლაში ის მოულოდნელად სასარგებლო აღმოჩნდა.

დეპრესია ადამიანების ქცევებზე მართლაც მოქმედებს: გაურბიან საზოგადოებას, კარგავენ მადას, ვარდებიან აპათიაში, გრძნობენ მუდმივ დაღლილობას. რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, დაავადებების დროს ეს ძალიან დროულია: პირველ რიგში, ადამიანის იმუნიტეტის ყველა რესურსი მხოლოდ ინფექციასთან ბრძოლაში იხარჯება და მეორე – მცირდება რისკი, რომ დაავადება ვინმეს გადაედება.

იმ დროში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ეფექტური მედიკამენტები, ინფექციური დაავადების დროს დეპრესიას ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო – ავადმყოფის ქცევების კორექციის წყალობით.

რაღა თქმა უნდა, ეს ჰიპოთეზა გადამოწმებას ექვემდებარება, თუმცა თუკი დამტკიცდა, რომ ამერიკელი ფსიქიატრები არ ცდებიან, დეპრესიისა და აუტოიმუნური დაავადებების მკურნალობა ერთი და იმავე პრეპარატებით მოხერხდება.

*science.compulenta.ru*

## ჭარბწონიანი ადამიანებისთვის ხილი სახიფათოა?



ცოტა არ იყოს, რთული წარმოსადგენია, რომ შეიძლება ხილი ვინმესთვის რაიმე სახის საფრთხეს წარმოადგენდეს, თუმცა არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ხილი ძალიან სასარგებლოა, თუმცა ინგლისელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მათ ადამიანისთვის სერიოზული პრობლემების გაჩენა შეუძლიათ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხილის დიეტური მიზნებისთვის გამოყენება ხდება.

მოსაზრების ავტორები განმარტავენ, რომ ხილი ძალიან სახიფათოა სიმსუქნისკენ მიდრეკილი ადამიანებისთვის და მათთვის, ვისაც სისხლში ქოლესტერინის დონე მაღალი აქვს. ამდენად, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის და დიაბეტიკებისთვის ხილის დიეტის დაცვა რეკომენდებული არ არის.

ხილის შემადგენლობაში საკმაოდ მაღალია შაქრის კონცენტრაცია, რომელიც თავის მხრივ, შიმშილის გრძნობას არ ამცირებს. ამიტომ ადამიანს არ შეუძლია იმის განსაზღვრა, რა რაოდენობის ხილი მიირთვა და რამდენი კალორია მიიღო. ეს უკანასკნელი კი ხილში საკმაოდ დიდი დოზებით გვხვდება.

შედეგად გამოდის, რომ ხილის დიეტებს ადამიანისთვის საკმაოდ დიდი ზიანის მიყენება შეუძლია და უმჯობესია, ინგლისელების ეს მოსაზრება ყველამ გაითვალისწინოს.

*fitnesdom.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**25 დეკემბერი:** რაღაც საქმის დამთავრებაზე დრო არ დაკარგოთ, არაფერი გამოგივათ. უმჯობესია, ეს დრო საკუთარ თავს დაუთმოთ. დაისვენეთ და გაერთეთ.

**კურო 22.04-21.05**

**25 დეკემბერი:** საკუთარი აზრების გარკვევაში შეიძლება ძალიან დაწვრილმანდეთ. ზოგჯერ ეს კარგია, მაგრამ ახლა ამის აუცილებლობა არ არსებობს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**25 დეკემბერი:** დღეს დადგება მომენტი, როცა გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება შეუძლებელი იქნება, რადგან საერთოდაც გადაუწყვეტელი დარჩება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**25 დეკემბერი:** ნებისმიერ კამპანიაში სასურველი სტუმარი იქნებით და შეიძლება, ამან ძალიან გაგაოცოთ. ზედმეტ ფიქრს შეეშვით და სიტუაციით ისარგებლეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**25 დეკემბერი:** კარგი იქნება, თუკი სიტყვა „არა“-ს ღრმად ჩაიბეჭდავთ. ძალიან პრინციპული უნდა იყოთ, რადგან ამ სიტყვის თქმა არაერთხელ მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**25 დეკემბერი:** თქვენი მოქმედებების წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დროულად გაიაზრებთ ყველაფერს. მოულოდნელობებმა, წესით, ხელი არ უნდა შეგიშალოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**25 დეკემბერი:** დღეს რაღაცა ერთზე კონცენტრირება შეიძლება გაგიჭირდეთ, მაგრამ, თუ მაინც მოახერხებთ, შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს.

**მორიელი 23.10-21.11**

**25 დეკემბერი:** გადადეთ ყველა საკითხის გადაწყვეტა, სადაც კატეგორიული „კი“, ან „არა“ გექნებათ სათქმელი. რაც არ უნდა უპასუხოთ, ხვალ აზრის შეცვლა მოგინდებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**25 დეკემბერი:** ნებისმიერ სულელურ სიტუაციას, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეთ, სასაცილო მხარე მოუძებნეთ, რადგან სადარდებელი მაინც არაფერი გექნებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**25 დეკემბერი:** ძალიან შემოქმედებითი იქნებით, მაგრამ ენერგია შესაძლოა, დღის ბოლომდე არ გეყოთ. ეკონომიურად ხარჯეთ ძალები, თორემ საღამომდე არაქათს გამოიცლით.

**მერწყული 20.01-18.02**

**25 დეკემბერი:** სასიამოვნო და ნაკლებად სასურველი მოულოდნელობებით სავსე დღე იქნება. ამიტომ, სასურველია, დაგეგმილი საქმეები გადადოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**25 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს, დიდი ხნის დავიწყებული პრობლემა ამოტივტივდეს. გამოიყენეთ ეს მომენტი, მოაგვარეთ და სამომავლო ნერვიულობასაც აიცილებთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## დაკარგული ნივთების ძებნაზე ადამიანი სიცოცხლის ერთ წელს ხარჯავს




აბა, გამოტყდით, რამდენჯერ გდებიათ გასაღები, ან სხვა საგანი ცხვირწინ და ვერც კი შეგიმჩნევიათ? ბევრჯერ, ხო? ასეა, ნამდვილად და, როგორც სპეციალისტებმა გამოიკვლიეს, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი წვრილმანი ნივთების ძებნას ერთ წელს ანდომებს.

მეცნიერების ინფორმაციით, დღეში, საშუალოდ, 20 წუთი იკარგება მობილური ტელეფონის, ტელევიზორის პულტის, სიგარეტის, სანთებელის მოძიებაში, მაგრამ ყველაზე ხშირად თურმე მაინც ავტომობილის გასაღები იკარგება, რასაც გამოკითხული ადამიანების 45 პროცენტი აღიარებს და შეხვედრებზე დაგვიანებას სწორედ ამ მიზეზით ხსნის.

ავტომობილის გასაღებს მოსდევს მობილური ტელეფონი. ყოველი მესამე ამბობს, რომ ის ტელეფონს დღეში დაახლოებით 5-7-ჯერ მაინც კარგავს.

ყველაზე უარყოფითად ადამიანი ტელევიზორის პულტის დაკარგვაზე რეაგირებს, ვინაიდან, იგი იძულებულია, ადგეს სავარძლიდან ან დივნიდან, სადაც ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს და ეძებოს ეს ოხერი პულტი.

მოკლედ, თუ უფრო ყურადღებით იქნებით, შესაძლებელი იქნება, ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე უმნიშვნელო ნივთების ძებნას არ შეალიოთ.

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



10 ფაქტი, რომლებიც მამაკაცებმა ქალების შესახებ იციან:

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10. ქალებს ძუძუები აქვთ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 21135945 7

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.39